

ს | ი | ფ | ე



საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაცია

დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით

კვლევა და
რეკომენდაციები

თბილისი 2016



„ღაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით“

2014-2015 წწ. მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები

გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

თბილისი 2016

სარჩევი:

1. კვლევის მეთოდოლოგია და სტრუქტურა	6
1.1. კვლევის მეთოდოლოგია.....	6
1.2. კვლევის სტრუქტურა	7
2. კვლევის ძირითადი ნაწილი	8
2.1. დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობები - კანონმდებლობა	8
2.1.1. საგამოძიებო მოქმედებები	8
2.1.2. სხვა საპროცესო მოქმედებები	9
2.1.3. მტკიცებულების/ინფორმაციის გამოთხოვა, როგორც საპროცესო მოქმედება.....	9
2.2. სასამართლო პრაქტიკის კვლევა სასამართლო განჩინებების საფუძველზე	10
2.3. დაცვის მხარის შუამდგომლობების დასაბუთების შეფასების სტანდარტები	10
2.3.1. შუამდგომლობების შესაბამისობა სსსკ-ის 93-ე და 94-ე მუხლის მოთხოვნებთან.....	10
2.3.2. რა გარემოების გამოსავლენად არის შუამდგომლობა დაყენებული	11
2.3.3. შუამდგომლობასთან ერთად მასალების წარდგენის ვალდებულება	11
2.3.4. შუამდგომლობის მოთხოვნის მკაფიო ხასიათი	15
2.3.5. შუამდგომლობის განმეორებით დაყენების აკრძალვა	17
2.3.6. შუამდგომლობაში ერთდროულად ორი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოთხოვნის დაუშვებლობა	17
2.3.7. დასაბუთების სპეციალური სტანდარტები თბილისის სააპელაციო სასამართლოში...	17
2.4. მტკიცებულებათა მოპოვებასთან დაკავშირებული სპეციალური საკითხები	17
2.4.1. დათვალიერება და ჩხრეკა/ამოღება.....	17
2.4.2. მტკიცებულების/ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა	18
2.4.3. დაცვის მხარის შეზღუდვა კომპიუტერულ სისტემაში არსებული ინფორმაციის მოპოვებაზე	21
2.4.3.1. განჩინებები ვიდეოთვალის ჩანაწერის მოპოვების/დათვალიერების შესახებ	22
2.4.3.2. მობილური კავშირგაბმულობის ქსელიდან ინფორმაციის მოპოვება	24
2.4.3.3. ინფორმაციის მოპოვება საშვთა ბიუროებიდან.....	25
2.4.3.4. სსსკ-ის 136-ე მუხლის ფართოდ გამოყენების საწინააღმდეგო დასაბუთება სასამართლოში.....	25
2.4.3.5. სასამართლოებში დამკვიდრებული ტენდენციის შეფასება კომპიუტერულ სისტემაში არსებული ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ.....	28

2.5. სასამართლო პრაქტიკის კვლევა ადვოკატების გამოკითხვის საფუძველზე.....	29
2.5.1. პირის ტექნიკური საშუალებით (სკაიპით) დისტანციური დაკითხვა	29
2.5.2. ჩხრეკა-ამოღება	30
2.5.3. დათვალიერება	31
2.5.4. გვამის ექსპერტიზის მოთხოვნა.....	31
2.5.5. შუამდგომლობა მტკიცებულების გამოთხოვაში დახმარების შესახებ	32
2.5.6. საექსპერტო კვლევის ნიმუშის აღების მოთხოვნით.....	32
2.5.7. ადვოკატების მიერ დასახელებული პრობლემები და მტკიცებულებათა მოპოვების პროცესის შეფასება	32
2.6. დასკვნა	33
3. რეკომენდაციები	35
3.1. რეკომენდაცია საკანონმდებლო ორგანოს	35
3.2. რეკომენდაცია სასამართლოს	35
3.3. რეკომენდაცია დაცვის მხარეს	36

პროექტი – „მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის უზრუნველყოფის ღონისძიებების მონიტორინგი სისხლის სამართლის პროცესში“

2014 წლის დეკემბრიდან 2015 წლის ივლისამდე ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველო“-ს მხარდაჭერით საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ (სიფა) განხორციელა პროექტი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხარეთა შეჯიბრებითობის უზრუნველყოფისათვის რეკომენდაციების შემუშავება.“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა კვლევა და განისაზღვრა რეკომენდაციები სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის გასაძლიერებლად. კვლევის შედეგად წარმოჩინდა საქართველოს კანონმდებლობაში ან/და სასამართლო პრაქტიკაში არსებული ხარვეზები, რაც ხელყოფს ან ქმნის მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის რეალურ საფრთხეს. კვლევა მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით განაჩენში ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლა, საგამოძიებო მოქმედებები ადვოკატის ოფისში, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და ბრალდებულად ცნობა, დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები, მტკიცებულებათა რელევანტურობისა და დასაშვებობის საკითხები, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრობლემატიკა და სხვ.

კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ხარვეზები დაცვის მხარის საგამოძიებო უფლებამოსილების საკანონმდებლო რეგულირებაში.

ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) ამოქმედებიდან დღემდე არ განხორციელებულა სასამართლო პრაქტიკის კვლევა, როგორ ხორციელდება დაცვის მხარის საგამოძიებო უფლებამოსილება და რა შესაძლებლობები არსებობს ამ თვალსაზრისით ხარვეზების გამოსასწორებლად; როგორ აისახება საკანონმდებლო ხარვეზები დაცვის მხარის საგამოძიებო უფლებამოსილებაზე და როგორ ახერხებს დაცვის მხარე არაეფექტიანი საკანონმდებლო რეგულირების პირობებში მოიპოვოს მტკიცებულება.

ამ თვალსაზრისით გაგრძელდა თანამშრომლობა და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველო“-ს ფინანსური მხარდაჭერით სიფამ დაიწყო პროექტის „მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის უზრუნველყოფის ღონისძიებების მონიტორინგი სისხლის სამართლის პროცესში“ განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა სწორედ დაცვის მხარის საგამოძიებო უფლებამოსილების მონიტორინგს.

პროექტის ფარგლებში მომზადებული კვლევა წარმოადგენს მცდელობას შეფასდეს, როგორც დაცვის მხარის შესაძლებლობები მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით, ასევე საერთო სასამართლოების როლი ამ პროცესში, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი სხვა სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე.

გამოვლენილი ხარვეზების დასაძლევად შემუშავდა რეკომენდაციები როგორც სასამართლო ხელისუფლებისა და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს, ისე ადვოკატთა კორპუსის მიმართ. რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის პროცესში დაცვის მხარის საგამოძიებო უფლებამოსილების გაძლიერებასა და მხარეებისთვის მტკიცებულებათა მოპოვების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას¹, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება მართლმსაჯულების განვითარებაზე

¹ მტკიცებულებათა წარდგენის თანაბარი შესაძლებლობის მინიჭება მხარეებისთვის მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის აუცილებელი ელემენტია

1. კვლევის მეთოდოლოგია და სტრუქტურა

1.1. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში თბილისის, რუსთავის, გურჯაანის, თელავისა და გორის საქალაქო/რაიონული სასამართლოებიდან გამოთხოვილ იქნა, ორმოცდაათ-ორმოცდაათი სასამართლო განჩინება, 2014-2015 წლების მდგომარეობით, მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ნებართვის გაცემის შესახებ დაცვის მხარის მიერ წარდგენილ შუამდგომლობებზე. ასევე, გამოთხოვილ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებები, პირველი ინსტანციის სასამართლოების გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებზე.

მიუხედავად გამოთხოვილი რაოდენობისა, ჩამოთვლილი სასამართლოებიდან მიღებულ იქნა შემდეგი ოდენობის განჩინებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014წ. განჩინებები		
განხილული	დაკმაყოფილებული	დაუკმაყოფილებელი ან განუხილველი
17 შუამდგომლობა	5 შუამდგომლობა	12 შუამდგომლობა

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს სულ განხილულ იქნა დაცვის მხარის 17 შუამდგომლობა, აქედან დაკმაყოფილდა - 5, არ დაკმაყოფილდა ან განუხილველი დარჩა - 12.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წ. განჩინებები		
განხილული	დაკმაყოფილებული	დაუკმაყოფილებელი ან განუხილველი
60 შუამდგომლობა	17 შუამდგომლობა	43 შუამდგომლობა

2015 წელს განხილულ იქნა 60 შუამდგომლობა, დაკმაყოფილდა - 17 და არ დაკმაყოფილდა ან დარჩა განუხილველი - 43.

კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2014-2015 წლებში გამოტანილი 43 განჩინება. მათ შორის გამოთხოვილ იქნა 2015 წლის ყველა განჩინება დაცვის მხარის შუამდგომლობების დაკმაყოფილების შესახებ. შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებულ იქნა მხოლოდ 11 განჩინება.

გორის რაიონული სასამართლოდან მიღებულ იქნა 4 განჩინება, თელავიდან - 2 განჩინება, რუსთავის საქალაქო სასამართლოდან - 3 განჩინება. ხოლო გურჯაანის რაიონული სასამართლოდან მიღებული შეტყობინებით, 2014-2015 წლებში გურჯაანის რაიონულ სასამართლოების დაცვის მხარეს არ მიუმართავს შუამდგომლობით².

თბილისის სააპელაციო სასამართლოდან მიღებულ იქნა 15 განჩინება. როგორც ირკვევა თბილისის სააპელაციო სასამართლოს წერილიდან, სააპელაციო სასამართლო არ აწარმოებს დამოუკიდებელ სტატისტიკას ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ შეტანილ საჩივრებზე.

² გორის რაიონულ სასამართლოს 2014-2015 წლებში სულ დაცვის მხარის 8 შუამდგომლობა განუხილავს, თელავის სასამართლოს 9, რუსთავის საქალაქო სასამართლოს კი 7

კვლევის პროცესში შემუშავებულ იქნა სპეციალური კითხვარი ადვოკატებისთვის და მოხდა ადვოკატების გამოკითხვა. კითხვარში გათვალისწინებული შეკითხვები ეხებოდა შემდეგ თემებს: მიუმართავთ თუ არა ადვოკატებს სასამართლოსათვის შუამდგომლობით საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ, მათ შორის პირის ტექნიკური საშუალებით დისტანციური დაკითხვის (სკაიპით), ჩხრეკა-ამოღების, დათვალიერების ჩატარების, გვამის ექსპუმაციის, იმ დოკუმენტის ან ინფორმაციის მოთხოვნით, რომელიც ინახება კომპიუტერულ სისტემაში, მტკიცებულების გამოთხოვაში დახმარების, საექსპერტო კვლევის ნიმუშის აღების შუამდგომლობით; დაკმაყოფილდა თუ არა წარდგენილი შუამდგომლობა ან უარის შემთხვევაში რა იყო დაუკმაყოფილებლობის მიზეზი; ხომ არ ჰქონია ადვოკატს მცდელობა რაიმე სხვა კანონიერი ხერხით დაეძლია სასამართლოს უარი და რა შედეგი მიიღო. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ადვოკატების შეფასება მტკიცებულებათა მოპოვების პროცესისთვის დამახასიათებელი ხარვეზების შესახებ.

სულ გამოიკითხა 136 სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი. გამოკითხვა განხორცილდა ორი საშუალებით - სპეციალური კითხვარების მეშვეობით ან სატელეფონო გასაუბრების გზით.

კითხვარების მეშვეობით გამოიკითხა 41 ადვოკატი. აქედან 18 ადვოკატი განეკრიანებულია საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციაში, 5 ადვოკატი წარმოადგენს იურიდიული დახმარების სამსახურს. სატელეფონო გზით გამოიკითხა 95 ადვოკატი, მათგან 9 წარმოადგენდა იურიდიული ფირმების ასოციაციას, 13 ადვოკატი იურიდიული დახმარების სამსახურს.

კვლევა მომზადებულ იქნა იურიდიული ფირმების ასოციაციის სისხლის სამართლის ჯგუფის ადვოკატების დავით კვაჭანტირაძის (პროექტის ხელმძღვანელი) და დავით აბესაძის (პროექტის იურისტი) მიერ. კვლევისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებაში და საკითხების დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს სიფა-ს აღმასრულებელმა დირექტორმა თინათინ შულაროვამ, დირექტორის ასისტენტმა თამთა სებისკვერაძემ, სიფას სისხლის სამართლის ჯგუფის წევრებმა აკაკი ჩარგეიშვილმა, ალექსანდრე ნოსელიძემ, გიორგი საძაგლიშვილმა, ნანა გორელაშვილმა, ემზარ პაქსაძემ.

1.2. კვლევის სტრუქტურა

კვლევის ძირითადი ნაწილი შედგება სამი კომპონენტისგან. პირველი კომპონენტი მოკლედ მიმოიხილავს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების საკანონმდებლო ჩარჩოს. მეორე კომპონენტის ფარგლებში გაანალიზებულია სასამართლო პრაქტიკა სასამართლობიდან გამოთხოვილი განჩინებებისა და ადვოკატების გამოკითხვით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე გამოკვეთილია ხარვეზები დაცვის მხარის საგამოძიებო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში. ბოლოს კი მითითებულია რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებას.

2. კვლევის ძირითადი ნაწილი

2.1. დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობები - კანონმდებლობა

სსსკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი „მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.“

სსსკ-ის 39-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდებულს/დაცვის მხარეს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში დახმარებისთვის შეუძლია მიმართოს სასამართლოს. ეს შესაძლებლობა დადგენილია სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილით: „თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.“

ამდენად სსსკ ადგენს დაცვის მხარისთვის მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას როგორც საგამოძიებო, ისე სხვა საპროცესო მოქმედების მეშვეობით და ამ დროს სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას.

2.1.1. საგამოძიებო მოქმედებები

სსსკ-ის მიხედვით საგამოძიებო მოქმედებებია: გამოკითხვა, გამოძიების დროს მონმის დაკითხვა, ჩხრეკა/ამოღება, დათვალიერება, საბანკო ანგარიშის მონიტორინგი, საგამოძიებო ექსპერიმენტი, პირის ამოსაცნობად წარდგენა, ექსჰუმაცია, კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები და ფარული საგამოძიებო მოქმედებები. ამასთან, ბრალდების მხარე უფლებამოსილია ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება ან სასამართლოს მიმართოს მისი ჩატარების ნებართვისთვის. დაცვის მხარეს კი არ აქვს უფლება სასამართლოს მიმართოს კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შუამდგომლობით. მას, ასევე, არ შეუძლია ჩაატაროს ფარული საგამოძიებო მოქმედებები. ამასთან, დაცვის მხარისთვის, სსსკ-ით დადგენილია სასამართლოს მეშვეობით მტკიცებულების მოპოვების ბრალდების მხარისაგან განსხვავებული წესი.

სსსკ-ის 111-ე მუხლის თანახმად დაცვის მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შუამდგომლობით, თუმცა, სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამოძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს.

დაცვის მხარის შუამდგომლობითა და სასამართლოს განჩინებით მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს.

2.1.2. სხვა საპროცესო მოქმედებები

სსსკ-ის მე-17 თავი ადგენს სხვა საპროცესო მოქმედებებსაც³. კანონმდებელი მათ არ უწოდებს საგამოძიებო მოქმედებებს, თუმცა, მტკიცებულების მოპოვება ზოგიერთი ამ მოქმედებითაც არის შესაძლებელი. მაგალითად, ექსპერტიზის ჩატარების შედეგად მიიღება ექსპერტიზის დასკვნა.

სსსკ-ის მე-17 თავის დასახელებიდან (სხვა საპროცესო მოქმედებები) და სსსკ-ს სხვა ნორმებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ კანონმდებელი არამხოლოდ მე-17 თავში ჩამოთვლილ, არამედ სისხლის პროცესთან დაკავშირებულ სხვა მოქმედებებსაც განიხილავს საპროცესო მოქმედებებად. მათ შორის, ფართო მნიშვნელობით, საგამოძიებო მოქმედებაც საპროცესო მოქმედებაა. სხვა ნებისმიერი მოქმედებაც, რაც საგამოძიებო მოქმედებებში და არც სხვა საპროცესო მოქმედებების თავში არ არის ჩამოთვლილი, საპროცესო მოქმედებაა. მაგალითად, ბრალდებულის წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან. ასევე, საპროცესო მოქმედებაა დაზარალებულისთვის მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება გამოძიების მწარმოებელი ორგანოს მიერ. მაგალითად, დაზარალებულს, სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლება აქვს ჰქონდეს ინფორმაცია აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესახებ.

ამდენად, ცხადია, რომ სსსკ-ის მე-17 თავი არ იძლევა საპროცესო მოქმედებების ამომწურავ ჩამონათვალს.

2.1.3. მტკიცებულების/ინფორმაციის გამოთხოვა, როგორც საპროცესო მოქმედება

სსსკ-ის მე-9 მუხლი, რომელიც ადგენს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს, განსაზღვრავს მხარეთა შესაძლებლობას სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვონ მტკიცებულება. სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროკურორს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს კერძო პირთაგან მტკიცებულების გამოთხოვის შუამდგომლობით. ხოლო, ბრალდებულს 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, უფლება აქვს გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად.

აღნიშნულის გარდა, დამატებითი ნორმები მტკიცებულებათა გამოთხოვის, როგორც საპროცესო მოქმედების შესახებ, სსსკ-ში არ არის გათვალისწინებული. გამოთხოვა ცალკე არ არის მითითებული საგამოძიებო მოქმედებების ზოგად ჩამონათვალში⁴ და არც სხვა საპროცესო მოქმედებებში.⁵ მხოლოდ კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების თავში, სსსკ-ის 136-ე მუხლით არის გათვალისწინებული კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება - გამოთხოვა, რომლის ჩასატარებლად სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ პროკურორს.

გამოთხოვის შესახებ სსსკ-ის ნორმათა ამგვარი კონსტრუქცია და მარეგულირებელი სპეციალური წესების არარსებობა განაპირობებს მოსამართლეების აზრთა სხვადასხვაობას და-

³ სხვა საპროცესო მოქმედებების თავში მითითებულია შემდეგი მოქმედებები: ექსპერტიზა, ნიმუშის აღება, მიყვანა, ქონებაზე ყადაღის დადება, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება, ბრალდებულისთვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერება.

⁴ სსსკ-ის მე-15 თავით დადგენილი საგამოძიებო მოქმედებები

⁵ სსსკ-ის მე-17 თავი - სხვა საპროცესო მოქმედებები.

ცვის მხარისთვის გამოთხოვის მეშვეობით მტკიცებულების მოპოვების (ამ პროცესში სასამართლოს ნებართვის გაცემის) შესაძლებლობის მინიჭების შესახებ, რაც ასახულია სასამართლო პრაქტიკის კვლევის ნაწილში.

2.2. სასამართლო პრაქტიკის კვლევა სასამართლო განჩინებების საფუძველზე

კვლევის ფარგლებში გამოთხოვილ იქნა განჩინებები თბილისის საქალაქო სასამართლოდან, გორის, თელავის, რუსთავის, გურჯაანის რაიონული სასამართლოებიდან და თბილისის სააპელაციო სასამართლოდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს სულ განხილულ იქნა დაცვის მხარის 17 შუამდგომლობა, აქედან დაკმაყოფილდა - 5, არ დაკმაყოფილდა ან განუხილველი დარჩა - 12. 2015 წელს განხილულ იქნა 60 შუამდგომლობა, დაკმაყოფილდა - 17 და არ დაკმაყოფილდა ან დარჩა განუხილველი - 43.

კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2014-2015 წლებში გამოტანილი 43 განჩინება. მათ შორის კვლევის პროცესში გამოთხოვნილ იქნა 2015 წლის ყველა განჩინება, რომლითაც დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებულ იქნა ასეთი 11 განჩინება.

გორის რაიონული სასამართლოდან მიღებულ იქნა 4 განჩინება, თელავიდან - 2 განჩინება, რუსთავის საქალაქო სასამართლოდან - 3 განჩინება. ხოლო გურჯაანის რაიონული სასამართლოდან მიღებული შეტყობინებით, 2014-2015 წლებში გურჯაანის რაიონულ სასამართლოსთვის დაცვის მხარეს არ მიუმართავს შუამდგომლობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოდან მიღებულ იქნა 15 განჩინება. როგორც ირკვევა თბილისის სააპელაციო სასამართლოს წერილიდან, სააპელაციო სასამართლო არ აწარმოებს დამოუკიდებელ სტატისტიკას ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ შეტანილ საჩივრებზე. ამიტომ სიფა-ს არ გააჩნია სტატისტიკური ინფორმაცია დაცვის მხარის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებების რაოდენობის შესახებ.

სასამართლო განჩინებების კვლევის შედეგად გამოიკვეთა დაცვის მხარის შუამდგომლობათა დასაბუთებასთან დაკავშირებული საკითხები., ამ მიმართებით სასამართლო განჩინებათა შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა სასამართლოს მიდგომების გარკვეული განზოგადება. ასევე, გამოვლინდა მტკიცებულებათა მოპოვების პროცესის ის პრობლემური საკითხები, რომელთა მიმართაც სასამართლოებში აზრთა სხვადასხვაობაა შენარჩუნებული. შესაბამისად, კვლევაში ჯერ შეფასებულია სასამართლოებში დამკვიდრებული დაცვის მხარის შუამდგომლობათა დასაბუთების შეფასების სტანდარტები, ხოლო შემდეგ გაანალიზებულია ისეთი პრობლემური საკითხები, როგორცაა ჩხრეკა/ამოღება და დათვალიერება, გამოთხოვის გზით მტკიცებულების/ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა და კომპიუტერულ სისტემაში არსებული ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული მიდგომები.

2.3. დაცვის მხარის შუამდგომლობების დასაბუთების შეფასების სტანდარტები

2.3.1. შუამდგომლობების შესაბამისობა სსსკ-ის 93-ე და 94-ე მუხლის მოთხოვნებთან

სასამართლოები აფასებენ, შეესაბამება თუ არა დაცვის მხარის შუამდგომლობა სსსკ-ის 93-ე მუხლს, რომელიც შეეხება ზოგადად შუამდგომლობის დაყენების წესს. კერძოდ კი, სასამართლოები აანალიზებენ ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნას - „შუამდგომლობა დასაბ-

უთებული უნდა იყოს, მასში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია და იგი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან“. ასევე, სასამართლოები მიუთითებენ სსსკ-ის 94-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნას - „შუამდგომლობის დაყენებისას სასამართლოს უნდა წარედგინოს სისხლის სამართლის საქმის იმ მასალების ასლები, რომლებიც აუცილებელია მისი განხილვისთვის.“

შესაბამისად, თუ შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 93-ე და 94-ე მუხლების მოთხოვნებს, სასამართლო უარს ამბობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

შუამდგომლობათა გადაწყვეტისას სასამართლოები აფასებენ გადაწყვეტილების მიღებისთვის რელევანტურ საკითხებს, რომელთა ანალიზის და სისტემატიზირების შედეგად მიღებული სურათი ქვემოთ არის მოცემული.

2.3.2. რა გარემოების გამოსავლენად არის შუამდგომლობა დაყენებული

სასამართლოები ითხოვენ, მითითებული იყოს რა გარემოების გამოსავლენად არის შუამდგომლობა დაყენებული.

ერთ-ერთ საქმეში დაცვის მხარე ითხოვდა დაზარალებულის ნასამართლობის ცნობის და განაჩენების გამოთხოვაში დახმარებას. სხვა გარემოებებთან ერთად, სასამართლომ ხარვეზად ჩათვალა, რომ გაურკვეველი იყო რა აძლევდა დაცვის მხარეს ვარაუდის საფუძველს დაზარალებულის ნასამართლობის შესახებ და, ასევე, რა შემთხვევაში ჰქონდა დაზარალებულის ნასამართლობას ბრალდებულის ბრალეულობასთან და მისთვის ბრალად წარდგენილ ქმედებასთან.⁶

სასამართლო ითხოვს, რომ დასაბუთება იყოს კონკრეტული და როგორც ჩანს, არ კმაყოფილდება ზოგადად, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე მითითებით.

ერთ-ერთ საქმეში⁷ სასამართლომ მიიჩნია, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობაში საერთოდ არ იყო მითითებული რა გარემოების გამოსავლენად შუამდგომლობდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას ადვოკატი და საქმისთვის რა მნიშვნელოვანი გარემოების გარკვევას შეუწყობდა ხელს შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ამ შემთხვევაში დაცვის მხარეს ჰქონდა ზოგადი დასაბუთება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე მითითებით, რაც სასამართლომ არასაკმარის დასაბუთებად ჩათვალა.

სხვა საქმეში⁸ მოსამართლემ ასევე მიუთითა, რომ გამოკითხული პირის შემთხვევის ადგილზე გაყვანის აუცილებლობის მხოლოდ ზოგადი მითითება არ არის საკმარისი. სააპელაციო სასამართლოს კიდევ ერთ განჩინებაში⁹, მოსამართლემ არასაკმარისად მიიჩნია მხოლოდ იმის მითითება, რომ საგამოძიებო მოქმედების განხორციელებით გამოვლინდებოდა იმ თანამდებობის პირის ვინაობა, რომელმაც მიიღო ბრძანება პოლიციის შენობაში გადაყვანის შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო იმის მითითება, რატომ იყო ეს გარემოება საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე.

ერთ-ერთ შუამდგომლობაში დაცვის მხარე უთითებდა, რომ დოკუმენტაციის დათვალიერება ხელს შეუწყობდა ჩვენებაში მითითებული ფაქტის სისწორის დადგენას, რასაც გადამწყვეტი

⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 აპრილის განჩინება

⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 19 ივნისის განჩინება.

⁸ სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის განჩინება

⁹ სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 ოქტომბრის განჩინება

მნიშვნელობა ექნებოდა ბრალდებულის უდანაშაულობის დასამტკიცებლად. როგორც ჩანს, სასამართლომ დასაბუთებულად ჩათვალა დასათვალისწინებელი ინფორმაციის მნიშვნელობა საქმის გარემოებებისთვის და დააკმაყოფილა შუამდგომლობა¹⁰.

ერთ-ერთ საქმეზე, დაცვის მხარემ ითხოვა პოლიციის განყოფილებიდან შენობის შესასვლელში და შენობის პირველ სართულზე დამონტაჟებული ვიდეოთვალის ჩანაწერების დათვალისწინების ჩასატარებლად ნებართვის გაცემა. დაცვის მხარე უთითებდა დათვალისწინების მიზანს - მოწმე პოლიციის მუშაკის ჩვენებასა და ადვოკატის მიერ გამოკითხულ პირთა მიერ დაფიქსირებულ ფაქტებს შორის იყო არსებითი წინააღმდეგობა და, აქედან გამომდინარე, ვიდეო-თვალის დათვალისწინება ხელს შეუწყობდა ობიექტური ქმედებების დადგენას. ამასთან, წარდგენილი იყო შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც სასამართლოს წინაშე აცოცხლებდა პოლიციის განყოფილებაში განვითარებული ინციდენტის სრულ სურათს. სასამართლომ მიიჩნია, რომ დათვალისწინების ჩატარება ხელს შეუწყობდა ბრალდებულის უფლებებისა და საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენას.¹¹

სხვა საქმეზე დაცვის მხარე უთითებდა, რომ ვიდეო სამეთვალყურეო კამერა განთავსებული იყო შემთხვევის ადგილზე და დიდი ალბათობით, დააფიქსირებდა მომხდარი შემთხვევის გარკვეულ ნაწილს მაინც. აქაც, სასამართლომ დაასკვნა, რომ დათვალისწინება ხელს შეუწყობდა საქმის გარემოებების გარკვევას¹².

ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ დასაბუთებული უნდა იყოს ამოსაღები დოკუმენტის მნიშვნელობა საქმის გარემოებებისათვის. აქვე, სასამართლო მოკლე განმარტებას აკეთებს, როგორ უნდა განისაზღვროს ინფორმაციის მნიშვნელობა საქმისთვის. „სასამართლო განმარტავს, რომ ამოსაღები დოკუმენტის საქმისთვის მნიშვნელობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ ბრალის დადგენილებაში მითითებული რომელი ფაქტობრივი გარემოების დადასტურება ან უარყოფა ხდება ამ დოკუმენტით.“¹³

2.3.3. შუამდგომლობასთან ერთად მასალების წარდგენის ვალდებულება

მხოლოდ შუამდგომლობის წარდგენა, ყოველგვარი თანდართული მასალის გარეშე უპირობოდ გამოიწვევს მის უარყოფას. თუმცა, შესაძლებელია, დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაშიც, იგი არასკმარისად ჩაითვალოს. სასამართლოები თვლიან, რომ შუამდგომლობასთან ერთად საკმარისი მასალები უნდა იქნას წარდგენილი. ამასთან, შუამდგომლობას უნდა დაერთოს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს სასამართლოში წარდგენამდე დაცვის მხარის მიერ მიმართვას იმ დაწესებულების ადმინისტრაციისადმი, საიდანაც იგი ითხოვს ინფორმაციას.

სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამმართველოში რეგისტრაციის ჟურნალის დათვალისწინების

¹⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 2 მაისის განჩინება

¹¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 ივლისის განჩინება

¹² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 სექტემბრის განჩინება

¹³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინება

შესახებ.¹⁴ როგორც ირკვევა განჩინებიდან, შუამდგომლობასთან ერთად გარკვეული მასალები იყო წარდგენილი, თუმცა, სასამართლოს აზრით, მასალებში „არ მოიპოვება არანაირი ცნობა, ოფიციალური მიმართვა რეგისტრაციის ჟურნალის ან სხვა დოკუმენტის არსებობის თაობაზე, დადებით შემთხვევაში - დათვალიერებაზე უარი. მასალებს არ ერთვის შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნები, რომელთა დაწყების და დასრულების თაობაზე ინფორმაციის დათვალიერებას ითხოვს დაცვის მხარე. სასამართლომ ჩათვალა, რომ არ იყო დაცული სსსკ-ის 94-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნა - „შუამდგომლობის დაყენებისას სასამართლოს უნდა წარედგინოს სისხლის სამართლის საქმის იმ მასალების ასლები, რომლებიც აუცილებელია მისი განხილვისთვის“. შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ სასამართლო აფასებს შუამდგომლობას იმ თვალსაზრისით თუ, რამდენად არის წარდგენილი შუამდგომლობის განხილვისთვის აუცილებელი მასალა.

კიდევ ერთ განჩინებაში¹⁵ ასევე ხაზგასმულია, რომ არ ჩანს, მიმართა თუ არა დაცვის მხარემ დაწესებულების ადმინისტრაციას, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის თხოვნით. სასამართლოს მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარუდგენლობა დაწესებულების ადმინისტრაციისთვის მიმართვის დასადასტურებლად დასაბუთების ხარვეზად ჩაითვალა.

ერთ-ერთ საქმეში¹⁶ სასამართლომ ხარვეზად მიიჩნია, რომ ადვოკატის შუამდგომლობას არ ერთვოდა ბრალდებულის თანხმობა, თუმცა, ეს ხარვეზი მითითებულია სხვა ხარვეზებთან ერთად. ამიტომ შეუძლებელია იმის თქმა, მხოლოდ დასახელებული საფუძვლით უარს ეტყოდა თუ არა სასამართლო დაცვის მხარეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში შესწავლილ სხვა არც ერთ განჩინებაში, შუამდგომლობაზე ბრალდებულის თანხმობის სავალდებულო ხასიათის შესახებ არ არის მითითებული. ბრალდებულის თანხმობის წარდგენის ვალდებულების დაკისრება დაცვის მხარისთვის არ იქნებოდა გამართლებული. სსსკ არ ითხოვს ბრალდებულის თანხმობას სააპელაციო და საკასაციო საჩივარზე, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ საჩივარზე და სხვა დოკუმენტებზე. შესაბამისად, სსსკ-ით დადგენილი მიდგომის საპირისპიროდ, მხოლოდ მტკიცებულებათა მოპოვების შუამდგომლობებზე ბრალდებულის თანხმობის მოთხოვნა, არალოგიკური და გაუმართლებელი იქნება.

კიდევ ერთ საქმეში,¹⁷ სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია დაცვის მხარის მიერ წარდგენილი რამდენიმე დოკუმენტი და მიუთითა, რომ შუამდგომლობას არ ერთვოდა საპროცესო დოკუმენტი, რითაც სასამართლოს ზოგადი წარმოდგენა შეექმნებოდა ბრალდებულის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გარემოებებზე, მათ შორის, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ინფორმაციაზე და ბრალდების ფორმულირებაზე. ამ საქმეში, დაცვის მხარე ითხოვდა დაზარალებულის პიროვნების შესახებ ინფორმაციას, კერძოდ, სასამართლობის ცნობასა და განაჩინებს. სასამართლომ, როგორც ჩანს, მიიჩნია, რომ დაცვის მხარეს უნდა წარედგინა ინფორმაცია, რაც დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს მისცემდა დაზარალებულის წარსულში ნასამართლეობის შესახებ და ასევე დაესაბუთებინა, რა შემხე-

¹⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 აპრილის განჩინება

¹⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 19 ივნისის განჩინება

¹⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 თებერვლის განჩინება

¹⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 აპრილის განჩინება

ბლობა შეიძლება ჰქონოდა დაზარალებულის ნასამართლობას ბრალდებულისთვის ბრალად წარდგენილ ქმედებასთან თუ ბრალეულობასთან. აღსანიშნავია, რომ განჩინება გასაჩივრ- და თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც დააკმაყოფილა საჩივარი. სააპელა- ციო სასამართლომ გადაწყვეტილების ძირითად სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სსსკ-ს მე-9მუხლის მე-2 ნაწილით¹⁸, სსსკ-ის 25-ე მუხლის პირველი ნაწილით,¹⁹ და სსსკ-ის 39-ე მუხლი მე-2 ნაწილით²⁰ დადგენილი ნორმები.

ამოღების შედეგად მოსაპოვებელი ინფორმაციის სისხლის სამართლის საქმესთან კავშირის დასაბუთების აუცილებლობაზე მითითებულია ასევე რუსთავის რაიონული სასამართლოს განჩინებაში.²¹

თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი განჩინებით,²² მოსამართლემ დააკმაყოფი- ლა ამოღების შესახებ შუამდგომლობა. დაცვის მხარე ითხოვდა საინფორმაციო-სამისამარ- თო ბიუროს არქივიდან ხელმოწერის თავისუფალი ნიმუშების სახით განცხადება-ანკეტების დედნების ამოღებას. შუამდგომლობასთან ერთად სასამართლოს წარედგინა საქმის მასალები, მათ შორის, საექსპერტო ბიუროში ექსპერტიზის ჩატარებისთვის მიმართვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულება საექსპერტო ბიუროსთან, ექსპერტიზის ჩატარებისთვის დოკუმენტის რეგისტრაციის ბარათი და ექსპერტიზის წერილი). სასამართლომ ჩათვალა, რომ დაცვის მხარის მიერ მითითებული ინფორმაციის მოპოვება პირდაპირ კავშირში იყო სისხ- ლის სამართლის საქმის გარემოებებთან. სასამართლომ მიუთითა შუამდგომლობის დაკმაყ- ოფილების სამართლებრივი საფუძვლები - სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი, 39-ე და 119-ე მუხლები.²³

შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელი დო- კუმენტი.²⁴

ერთ-ერთ საქმეში, დაცვის მხარე ითხოვდა ინფორმაციის ამოღებას შს ერთ-ერთი სამმარ- თვლოდან და საფუძვლად უთითებდა, რომ არსებობდა ეჭვი სამმართველოს ხელმძღვანელ- ების მხრიდან გარკვეულ პირთა პირადი მოტივით დევნაზე. სასამართლომ მიუთითა, რომ დაცვის მხარე არ უთითებდა ინფორმაციის შემცველ რაიმე მტკიცებულებაზე, რომელიც გაამყარებდა ეჭვს.²⁵

რუსთავის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,²⁶ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა სანოტარო ბიუროში ორ პირს შორის დამონმებული ხელწერილის

¹⁸ მხარეს უფლება აქვს საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამარ- თლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვილოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება

¹⁹ სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა

²⁰ თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი გან- ჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით

²¹ რუსთავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 2 დეკემბრის განჩინება

²² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 თებერვლის განჩინება

²³ სსსკ-ს 38-ე და 39-ე მუხლები ადგენენ დაცვის მხარის უფლებას მოიპოვოს მტკიცებულება და ამ პროცესში დახმარებისთვის მიმართოს სასამართლოს. ხოლო სსსკ-ის 119-ე მუხლი ეხება საგამოძიებო მოქმედება ამოღების ჩატარებას.

²⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 თებერვლის განჩინება

²⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის განჩინება

²⁶ რუსთავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 12 დეკემბრის განჩინება

დათვალიერების შესახებ, რომლის საფუძველზეც დადგინდებოდა, სესხის მიცემის ფაქტი. სასამართლომ მიიჩნია, რომ დაცვის მხარის მიერ მითითებული ფაქტები კავშირში იყო სისხლის სამართლის საქმესთან და ეს დასკვნა მოსამართლემ გააკეთა წარდგენილი ბრალდების შესახებ დადგენილების შინაარსიდან, რომლის თანახმად ბრალდებულს ბრალად ედებოდა ფულადი თანხის დაუფლება. ამასთან, შუამდგომლობაზე დართული იყო ნოტარიუსის წერილი, რომ სანოტარო მოქმედების შესახებ ცნობა გაიცემოდა მხოლოდ იმ პირებზე, რომელთა მიმართ შესრულდა სანოტარო მოქმედება და ასევე, სასამართლოს მოთხოვნით. შუამდგომლობას ერთვოდა ნოტარიუსის უარი დათვალიერების ჩატარებაზე, რამდენადაც დაცვის მხარის მიერ არ იყო წარდგენილი სასამართლოს განჩინება.

საბოლოოდ, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, წარდგენილ მასალათა საკმარისობას სასამართლო ინდივიდუალურად აფასებს კონკრეტული საქმის სპეციფიკური გარემოებების ანალიზის შედეგად. თუმცა, შესაძლებელია ითქვას, რომ რამდენიმე სახის მტკიცებულება თუ ინფორმაცია ყველა შემთხვევაში უნდა იყოს წარდგენილი, კერძოდ:

- მითითება, რა გარემოების გარკვევას შეუწყობს ხელს მოთხოვნილი ინფორმაცია/მტკიცებულება;
- დასაბუთება, რომ მოსაპოვებელი ინფორმაცია/მტკიცებულება კავშირშია სისხლის სამართლის საქმის გარემოებებთან;
- ინფორმაცია, რომ მოთხოვნილი დოკუმენტი/ინფორმაცია მართლაც იქ არის დაცული, სადაც საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაა მოთხოვნილი;
- მტკიცებულება, რომ სასამართლოში მიმართვამდე დაცვის მხარემ მიმართა იმ დაწესებულებას, სადაც სურს სასამართლოს მეშვეობით საგამოძიებო მოქმედების ჩატარება;
- ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შუამდგომლობა შეტანილია ადვოკატის მიერ.

2.3.4. შუამდგომლობის მოთხოვნის მკაფიო ხასიათი

სასამართლოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დაცვის მხარის მიერ დაყენებული მოთხოვნის სიზუსტეს, განსაკუთრებით ისეთი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე ნებართვის მოთხოვნისას, როგორცაა ამოღება და დათვალიერება.

დაცვის მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის მოთხოვნის ბუნდოვანება გაკრიტიკებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში.²⁷ დაცვის მხარე ითხოვდა დათვალიერების ჩატარებაზე ნებართვას.

მოსამართლეს მოჰყავს სსსკ-ის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმა, რომლის თანახმად შუამდგომლობაში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია. სასამართლოს ინტერპრეტაციით, რამდენადაც დათვალიერება შესაძლებელია მოხდეს სხვადასხვა სახით - შემთხვევის ადგილის, საცავის, სადგომის, სათავსის, გვამის, საგნის, დოკუმენტის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის, აუცილებელია მოთხოვნა დაყენებულ იქნას კონკრეტულად - ინფორმაციის შემცველი რა ობიექტის დათვალიერებას ითხოვს მხარე. ამ შემთხვევაშიც სასამართლო ასკვნის, რომ დათვალიერების კონკრეტული ობიექტის მითითებასთან ერთად აუცილებელია ამ ობიექტის მფლობელის პოზიციის წარდ-

²⁷ 2015 წლის 28 აპრილის განჩინება

გენაც.

აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევებში თავად სასამართლო აკორექტირებს შუამდგომლობის მოთხოვნას და ნაწილობრივ აკმაყოფილებს მას.²⁸ მაგალითად, თელავის რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და უფლება მისცა მას დაეთვალაიერებინა სათვალთვალო კამერის არა სრული ჩანაწერი (როგორც ითხოვდა დაცვის მხარე), არამედ, მხოლოდ კონკრეტული პირის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად მოთხოვნის არაზუსტი ხასიათისა, სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია შუამდგომლობის ნაწილობრივი დაკმაყოფილება დაცვის მხარისაგან დამატებითი დაზუსტების მოთხოვნის გარეშე. ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებითაც²⁹ დაკორექტირდა ვიდეო სამეთვალაყურეო კამერის ჩანაწერის დათვალაიერების დრო.

ამოღების ჩატარების შესახებ ნებართვის გაცემაზე მსჯელობისას, სასამართლომ, შუამდგომლობის განხილვისათვის არსებითი მნიშვნელობის საკითხად მიიჩნია მითითება, რომ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და ადვოკატის მიერ მითითებული ინფორმაციის დამატებითი ძებნა საჭირო არ არის³⁰.

სასამართლოები ასეთ დასკვნას აკეთებენ სსსკ-ის 112-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, სხვა მონაცემებთან ერთად სასამართლოს განჩინებაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული რა არის მისი არსი და ვისზე ვრცელდება ის, ამოღების დროს ამოსაღები საგანი ან სხვა ობიექტი. სასამართლოები დასაბუთებისთვის ასევე იყენებენ სსსკ-ის 119-ე მუხლის მე-3 ნაწილს, რომლის თანახმად „საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი შეიძლება ამოღებულ იქნეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის“ და აკეთებენ დასკვნას, რომ „ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად, ამოღების შესახებ შუამდგომლობის დაყენებისას მხარის მიერ ზუსტად უნდა იქნას მითითებული როგორც ამოსაღები საგანი (დოკუმენტი), ასევე, ადგილი თუ სად ინახება კონკრეტულად ამოსაღები საგანი და მისი ძებნა არ უნდა იყოს საჭირო.“³¹

სასამართლოები, დაცვის მხარის შუამდგომლობათა შეფასებისას, უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებენ მის შინაარსს და არა მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების შუამდგომლობაში აღნიშნულ დასახელებას. ხშირად თავად სასამართლოები ცვლიან საგამოძიებო მოქმედების დასახელებას მისი შინაარსის გათვალისწინებით. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ყველა ასეთი განჩინებით არ იქნა დაკმაყოფილებული დაცვის მხარის შუამდგომლობა და დაცვის მხარის სასარგებლოდ ასეთი ცვლილება არ განუხორციელებია სასამართლოს.

ხშირად სასამართლოები უთითებენ, რომ მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული ინფორმაცია რა სახით არსებობს - დოკუმენტურად თუ კომპიუტერულ სისტემაში.³² ეს საკითხი დაკავშირებულია სსსკ-ის 136-ე მუხლთან დაკავშირებულ პრობლემატიკასთან, რასაც კვლევაში ცალკე ქვეთავი ეთმობა.

²⁸ თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 დეკემბრის განჩინება

²⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 სექტემბრის განჩინება

³⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 სექტემბრის განჩინება

³¹ 2015 წლის 29 მაისის განჩინება

³² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 მაისის განჩინება

2.3.5. შუამდგომლობის განმეორებით დაყენების აკრძალვა

სასამართლო არ განიხილავს შუამდგომლობას, თუ მანამდე შუამდგომლობა იგივე მოთხოვნით უკვე განხილულ იქნა სასამართლოს მიერ. სასამართლოები უარს ასაბუთებენ სსსკ-ის 93-ე მუხლის მე-4 ნაწილით, რომლის თანახმადაც, იმავე შინაარსის შუამდგომლობა, რომელზეც უკვე მიღებულია გადაწყვეტილება აღარ განიხილება.

ერთ-ერთ საქმეში იგივე შინაარსის შუამდგომლობად ჩათვლილია შუამდგომლობა, რომელსაც დამატებითი მასალები ჰქონდა დართული პირველად წარდგენილი შუამდგომლობისგან განსხვავებით.³³

2.3.6. შუამდგომლობაში ერთდროულად ორი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოთხოვნის დაუშვებლობა

სასამართლოები თვლიან, რომ ერთი შუამდგომლობით მოთხოვნილ უნდა იქნას ერთი საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედება. ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის განჩინებაში. შუამდგომლობაში დაცვის მხარე ითხოვდა ვიდუო კამერის ჩანაწერის დათვალიერებას და საჭიროების შემთხვევაში ვიდუოკამერების ამოღებასაც. სასამართლომ დააკმაყოფილა დათვალიერების მოთხოვნა, ხოლო ამოღების შესახებ განაცხადა, რომ „ამოღება დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედებაა და აღნიშნულის თაობაზე მოთხოვნა ცალკე უნდა იქნას დაყენებული.“³⁴

2.3.7. დასაბუთების სპეციალური სტანდარტები თბილისის სააპელაციო სასამართლოში

თბილისის სააპელაციო სასამართლომ, ერთ-ერთ საქმეში აღნიშნა, რომ საჩივარში არ იყო მითითება იმ არსებით საკითხებსა და მტკიცებულებებზე, რაც არ გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ.³⁵

ასევე, ამავე საქმეში, სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, როცა საქმე უკვე გადაცემულია სასამართლოსთვის, სააპელაციო ინსტანციაში ველარ მოხდება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერების შემოწმება.

2.4. მტკიცებულებათა მოპოვებასთან დაკავშირებული სპეციალური საკითხები

2.4.1. დათვალიერება და ჩხრეკა/ამოღება

აღსანიშნავია, რომ დაცვის მხარე ხშირად მიმართავს სასამართლოებს დათვალიერების ან ჩხრეკა-ამოღების შუამდგომლობით. ასეთ შუამდგომლობებზე სასამართლო განჩინებათა შესწავლა აჩვენებს, რომ სასამართლოებში შედარებით ერთგვაროვანი მიდგომაა ისეთი მტკიცებულების დათვალიერების ან ჩხრეკა/ამოღების მიმართ, რაც ფიზიკურად არ ინახება კომპიუტერულ სისტემაში, არამედ არსებობს სხვა, მაგალითად, დოკუმენტის სახით. ასეთ

³³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 ივლისის განჩინება

³⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის განჩინება

³⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის განჩინება

დროს, სასამართლოები, შუამდგომლობის დასაბუთებულობის³⁶ შემთხვევაში, აკმაყოფილებენ მათ. მაგალითისთვის, შეიძლება დასახელდეს, კალიგრაფიული ექსპერტიზის ჩასატარებლად ხელმოწერის ნიმუშების მოპოვება სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციიდან/ დაწესებულებიდან. კვლევის პროცესში შესწავლილი განჩინებებით დაკმაყოფილდა შუამდგომლობები ხელმოწერის თავისუფალი ნიმუშების ამოღების შესახებ ერთ-ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან,³⁷ ფინანსთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან,³⁸ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს არქივიდან³⁹ და სხვა.

რაც შეეხება ინფორმაციას, რომელიც შეიძლება ინახებოდეს კომპიუტერში/კომპიუტერულ სისტემაში, აქ მოსამართლეთა მიდგომები განსხვავებულია. ამ საკითხზე დეტალურად არის მსჯელობა კვლევის მომდევნო თავებში.

2.4.2. მტკიცებულების/ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა

კვლევის პროცესში შესწავლილ განჩინებებში გამოვლინდა სასამართლოთა განსხვავებული დამოკიდებულება გამოთხოვის, როგორც მტკიცებულების მოპოვების საპროცესო შესაძლებლობის მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2015 წლის 22 ივლისს, განიხილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ. ადვოკატმა ითხოვა განჩინების გაცემა, რომლის საფუძველზეც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს და მის შესაბამის სტრუქტურებს დაევალებოდათ დეტალური ინფორმაციის გაცემა 2013 წლის 14 მაისს 17:00 საათიდან- 2013 წლის 14 მაისს 18:05 საათის პერიოდში, რომელ საათზე, რა მისამართზე, ვის მიერ და რა ფაქტზე იყო გამოძახებული საპატრულო ეკიპაჟი, ა/მანქანა შკოდა, (სახელმწიფო ნომერი №.....).

სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა. სასამართლომ დაადგინა, რომ სსსკ დაცვის მხარეს აძლევს შესაძლებლობას მტკიცებულება მოიპოვოს არა მხოლოდ საგამოძიებო ან სსსკ-ს მე-17 თავში ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებების მეშვეობით, არამედ ინფორმაციის გამოთხოვის გზითაც. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ განჩინება არსებითად დაასაბუთა მხოლოდ სსსკ-ის მე-9 და სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილით - მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც მხარეს უფლება აქვს მოიპოვოს მტკიცებულება. თუ მტკიცებულების მოპოვებისთვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია, შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით.

როგორც ჩანს, ასეთი მიდგომა არ არის მტკიცედ ჩამოყალიბებული სასამართლოებში. დაახლოებით იმავე პერიოდში⁴⁰ განხილულ სხვა საქმეში, დაცვის მხარე შუამდგომლობდა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან ინფორმაციის გამოთხოვას, კერძოდ კონკრეტული პიროვნე-

³⁶ დაცვის მხარის შუამდგომლობათა დასაბუთების კრიტერიუმები, რასაც სასამართლოები აფასებენ, კვლევაში განზოგადებულია წინამდებარე შეფასების 2.3 პუნქტში.

³⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 მარტის განჩინება

³⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 თებერვლის განჩინება

³⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 თებერვლის განჩინება

⁴⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 ივლისის განჩინება.

ბა იღებდა თუ არა ხელფასს კონკრეტულ საწარმოში და რა ოდენობით, ასევე დანიშნის ბრძანებასა და ბრძანების რეგისტრაციის ნიგნის ასლს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების მოთხოვნას დაცვის მხარის მიერ. „საგამოძიებო მოქმედების, რომლის ჩატარების ნებართვასაც ითხოვს ადვოკატი, ჩატარების წესი რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით და მასზე ვრცელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1432-14310 მუხლების დებულებები.“⁴¹

იქვე, სასამართლო კვლავ აკეთებს დასკვნას, რაც მიუთითებს, რომ სასამართლოს მეშვეობით ინფორმაციის მოპოვება მხარის უფლებად მიაჩნია. „რაც შეეხება დაცვის მხარის ზოგად უფლებას მოიპოვოს ინფორმაცია სასამართლოს დახმარებით ამ შემთხვევაშიც დაცვის მხარის შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს და არ არის დასაბუთებული. შუამდგომლობას არ ერთვის თან ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შუამდგომლობის ავტორმა მიმართა შპს-----ს კონკრეტული ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით და მან უარი მიიღო აღნიშნულის თაობაზე.“⁴² ციტირებული მსჯელობიდან გამომდინარე შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ სასამართლო იზიარებს პოზიციას- სასამართლოს დახმარებით ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა არის მხარის უფლება, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში არ დააკმაყოფილა მოთხოვნა შუამდგომლობის დაუსაბუთებლობის გამო, რამდენადაც, სასამართლოსთვის მიმართვამდე, დაცვის მხარემ არ მიმართა შესაბამის საწარმოს ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით.

განჩინებაში არ არის შეფასებული, თუ რატომ არის დაცვის მხარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ანაზღაურების შესახებ 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე შუამდგომლობა და არა ინფორმაციის გამოთხოვა, რის უფლებასაც დაცვის მხარისთვის სასამართლო აღიარებს ამავე განჩინებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს კიდევ ერთ განჩინებაში⁴³ განვითარებულია მსჯელობა, რომ მხოლოდ სსსკ-ის ზოგადი, მე-9 და 39-ე მუხლებზე დაყრდნობით არ არის შესაძლებელი მტკიცებულების მოპოვება, რამდენადაც გამოთხოვას, როგორც მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას დაცვის მხარისთვის, არ იცნობს სსსკ-ში საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩამონათვალი.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა განსხვავებულ შეხედულებებს ინფორმაციის გამოთხოვის შესაძლებლობაზე ადგილი აქვს ერთი სასამართლოს სხვადასხვა მოსამართლეთა შორისაც. ასეთი განსხვავებული მიდგომა არსებობს როგორც თბილისის საქალაქო, ისე თბილისის სააპელაციო სასამართლოშიც. მაგალითად, სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში⁴⁴ დაკმაყოფილებულია დაცვის მხარის საჩივარი და მას ნება დაერთო გამოეთხოვა დაზარალებულის ნასამართლობის ცნობა და განაჩინები. ამასთან, სასამართლომ განჩინება დაასაბუთა სსსკ-ის მე-9, 25-ე, 39-ე მუხლი მე-2 ნაწილის და 44 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. სასამართლოს მოყავს სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ნორმა: „თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმარ-

⁴¹ იქვე.

⁴² იქვე.

⁴³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 თებერვალის განჩინება.

⁴⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 05 მაისის განჩინება.

თოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით.“

ზოგიერთი მოსამართლე კი თვლის, რომ სსსკ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლი, წარმოადგენს ზოგად ნორმას, რომელიც მხარეს ანიჭებს უფლებას გამოითხოვოს მისთვის საჭირო მტკიცებულება, დადგენილი წესით. რამდენადაც „გამოთხოვის“ კონკრეტული წესი არ არის დადგენილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კონკრეტული ნორმით, ცალკე აღებული „გამოთხოვის“ მეშვეობით მტკიცებულების მოპოვება არ არის შესაძლებელი. სწორედ ასეთი ლოგიკის საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 05 სექტემბრის განჩინებაში გამოთხოვა ჩათვლილია ამოღებად.

ამდენად, სასამართლოში, აღნიშნულ საკითხზე, აზრთა სხვადასხვაობა შენარჩუნებულია. პრობლემის არსი შემდეგია: მოსამართლეთა ნაწილი თვლის, რომ ინფორმაციის მოპოვებაში სასამართლოს დახმარება შესაძლებელია არა მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე ნებართვის გაცემით, არამედ ისეთი საპროცესო მოქმედებით, როგორცაა ინფორმაციის გამოთხოვა. მეორე ნაწილი, დაცვის მხარისთვის ასეთ შესაძლებლობას (ინფორმაციის გამოთხოვაში დახმარებას) კანონშეუსაბამოდ განიხილავს, რამდენადაც სსსკ არ შეიცავს მტკიცებულების გამოთხოვის კონკრეტულ წესებს.

იმის მიუხედავად, რომ სსსკ არ შეიცავს კონკრეტულ წესებს დაცვის მხარის მიერ გამოთხოვის მეშვეობით მტკიცებულების მოპოვების შესახებ (მსგავსად საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებების თავისა), მტკიცებულების/ინფორმაციის გამოთხოვა სსსკ-ით აღიარებული საპროცესო შესაძლებლობაა.

გამოთხოვის, როგორც მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობის შესახებ, მითითებულია სსსკ-ის მე-9, 38-ე და 39-ე მუხლებში. სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი ბრალდებულს ანიჭებს უფლებას გამოითხოვოს მტკიცებულება. მე-9 და 39-ე მუხლები კი ადგენენ მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას და მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში დახმარებისთვის სასამართლოსთვის მიმართვის თანაბარ შესაძლებლობას.

ამასთან, ბრალდების მხარეს სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად მინიჭებული აქვს უფლება, - „სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით.“ ბრალდებულის უფლებების ჩამონათვალში, გამოთხოვისას სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა პირდაპირ არ არის მითითებული, თუმცა გამოთხოვის უფლების შესახებ ნათლად არის დადგენილი სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილით. ხოლო, სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობაზე ამ პროცესში საუბარია სსსკ მე-9 და 39-ე მუხლებში, რომლებიც თანაბრად ეხება როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს. არსებობს არგუმენტი, რომ დაცვის მხარისთვის გამოთხოვისას სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას ზღუდავს სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფორმულირება - „თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს.“ აღნიშნული მოსაზრების თანახმად პრობლემური დასახელებულ ნორმაში მხოლოდ საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების აღნიშვნა და რამდენადაც გამოთხოვა არც საგამოძიებო მოქმედებებში და არც საპროცესო მოქმედებების თავში (მე-17 თავი) არ არის მოხსენიებული, ამიტომ სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დახმარება აღმოუჩინოს დაცვის მხარეს ინფორმაციის გამოთხოვის პროცესში.

სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმის ამგვარი განმარტება არალოგიკურ და გაუმართლებლად ვიწრო განმარტებად უნდა ჩაითვალოს, რომელიც, ეწინააღმდეგება მხარეთა

თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს,⁴⁵ რაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ქართულ სისხლის სამართლის პროცესს. სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული საპროცესო მოქმედებები არ შეიძლება გულისხმობდეს მხოლოდ სსსკ-ის მე-17 თავში ჩამოთვლილ საპროცესო მოქმედებებს, რამდენადაც თავად სსსკ აღიარებს და ადგენს სსსკ-ის მე-17 თავში ჩამოთვლილთაგან განსხვავებული საპროცესო მოქმედებების შესაძლებლობას. ერთ-ერთი ასეთი საპროცესო მოქმედებაა გამოთხოვა, რომლის ჩატარებისთვის პროკურორს პირდაპირ აქვს მინიჭებული უფლება მიმართოს სასამართლოს. ასეთ ვითარებაში, დაცვის მხარისთვის გამოთხოვაში დახმარებისთვის სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობის შეზღუდვა სსსკ-ის ნორმათა არალოგიკურად ვიწრო განმარტებით, კოლიზიაში მოდის მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპთან.

ინფორმაციის გამოთხოვაში დახმარებისთვის სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობის გაუქმება, თუ სასამართლოში საბოლოოდ გაიმარჯვებს ეს სადავო მიდგომა, განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც, ძირითადად, სასამართლოები არ აღიარებენ დაცვის მხარის უფლებას საგამოძიებო მოქმედების განხორციელებით მოიპოვოს ისეთი ინფორმაცია, რაც კომპიუტერულ სისტემაში ან საშუალებაში ინახება. ქვემოთ განხილულია სწორედ ეს საკითხი.

სასამართლოს მეშვეობით გამოთხოვის შესაძლებლობაზე სასამართლოს წინააღმდეგობრივი პრაქტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნება საკანონმდებლო ცვლილების გზით უფრო ზუსტი და კონკრეტული საკანონმდებლო ფორმულირებით მიეცეს დაცვის მხარეს მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობა გამოთხოვით.

2.4.3. დაცვის მხარის შეზღუდვა კომპიუტერულ სისტემაში არსებული ინფორმაციის მოპოვებაზე

კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ ძალიან ხშირად დაცვის მხარეს სასამართლოები უარს ეუბნებიან მტკიცებულების მოპოვებაში დახმარებაზე სსსკ-ის 136-ე მუხლის საფუძველზე. ეს ნორმა ითვალისწინებს საგამოძიებო მოქმედებას - იმ დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვას, რაც განთავსებულია კომპიუტერულ სისტემაში ან საშუალებაში. სსსკ-ის 136-ე მუხლის შესაბამისად, ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ნებართვის მისაღებად სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს.

როგორც ჩანს, მოსამართლეთა დიდი ნაწილი სსსკ-ის 136-ე მუხლის მიზანს განმარტავს ფართოდ და თვლის, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რაც კომპიუტერულ სისტემაში შეიძლება ინახებოდეს, წარმოადგენს სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას ან დოკუმენტს, თუმცა სასამართლო პრაქტიკაში არის ძირითადი ტენდენციისგან განსხვავებული განმარტებებიც.

ქვემოთ ცალკეული ტიპის განჩინებების ანალიზის საფუძველზე, გადმოცემულია სასამართლოს მიდგომის არსი ამ საკითხზე.

⁴⁵ აღსანიშნავია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომელშიც განმარტებულია მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის არსი და იგი განმარტებულია როგორც ადამიანის უფლება და არა მხოლოდ პროცესის წარმართვის მოდელი ინკვიზიციური მოდელის საპირისპიროდ. ამ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ 21-ე პარაგრაფში ხაზი გაუსვა, რომ „როგორც აღვნიშნეთ, შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს მხარეებისთვის თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებას, წარადგინონ მათი პოზიციის სასარგებლო მტკიცებულებები, არგუმენტები და ამ გზით მოახდინონ გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე“.

2.4.3.1. განჩინებები ვიდეო თვალის ჩანანერის მოპოვების/დათვალიერების შესახებ

ხშირია მიმართვა სასამართლოში დაცვის მხარის მიერ სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებიდან ვიდეო-თვალის ჩანანერის დათვალიერების, გამოთხოვის ან ამოღების შუამდგომლობით.

სასამართლოები ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას არ არიან ერთიანი. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 ივლისის განჩინებით დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების პირველ სართულზე დამონტაჟებული ვიდეო-თვალის დათვალიერების შესახებ. დაცვის მხარე დათვალიერებას ითხოვდა ადვოკატის მიერ გამოკითხულ პირთა განმარტებებსა და პოლიციის მუშაკების ჩვენებებს შორის არსებული წინააღმდეგობების შესამოწმებლად. სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა დათვალიერების საფუძვლები სსსკ-ის 125-ე მუხლის შესაბამისად და დაცვის მხარის მიერ დათვალიერების ჩატარება ხელს შეუწყობდა მისი დაცვის ქვეშ მყოფის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, აგრეთვე, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენას.

2014 წლის სხვა განჩინებით,⁴⁶ სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და ნება დართო მას დაეთვალიერებინა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კუთვნილი ვიდეოსამეთვალყურეო კამერის ჩანანერი. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც ჩათვალა, რომ „დაცვის მხარის მიერ შუამდგომლობაში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილება ხელს შეუწყობს მოცემული სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გარკვევას.“⁴⁷

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა ერთ-ერთი შს სამმართველოს განყოფილებიდან შესასვლელისა და სამორიგეო ნაწილში დამონტაჟებული ჩანანერის დათვალიერების შესახებ შუამდგომლობა მისი დაუსაბუთებლობის გამო. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 94-ე მუხლის მე-6 ნაწილზე, რომლის თანახმად, შუამდგომლობის დაყენებისას სასამართლოს წარედგინება სისხლის სამართლის საქმის იმ მასალების ასლები, რომლებიც აუცილებელია მისი განხილვისათვის. სასამართლომ განჩინებაში ჩამოთვალა ის ხარვეზები, რაც გააჩნდა შუამდგომლობას:

- ▶ შუამდგომლობას არ ერთვოდა მასში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მასალები, წარმოდგენილი იყო მხოლოდ შუამდგომლობა და განჩინება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.
- ▶ შუამდგომლობის ავტორის მიერ არ იყო წარდგენილი იმის დამადასტურებელი მასალაც, რომ მოთხოვნილი ვიდეო-ჩანანერი, განხილვის დღის მდგომარეობით, ნამდვილად არსებობდა და ინახებოდა მითითებულ ადგილას.

აღნიშნული განჩინების ლოგიკიდან გამომდინარეობს, რომ თუ დაცვის მხარეს არ ექნებოდა ჩამოთვლილი ხარვეზები დაშვებული, სასამართლო დააკმაყოფილებდა შუამდგომლობას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სათვალთვალ ვიდეოკამერის დათვალიერების შესახებ

⁴⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 17 სექტემბრის განჩინება.

⁴⁷ იქვე

შუამდგომლობა დააკმაყოფილა 2014 წლის კიდევ ერთი განჩინებით.⁴⁸ ამ შემთხვევაშიც, განჩინების დასაბუთება ეფუძნებოდა სსსკ-ის 125-ე მუხლს და დასკვნას, რომ „შუამდგომლობაში მითითებული გარემოებების დადგენა ხელს შეუწყობს მოცემული სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გარკვევას.“

2015 წლის 5 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა პოლიციის შენობის წინა და უკანა გასასვლელში დამონტაჟებული ვიდეო-ჩანაწერის ამოღების შესახებ. მოსამართლის მიერ ამოღების შუამდგომლობა ჩაითვალა სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებულ შუამდგომლობად კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში არსებული ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ, რაც მხოლოდ პროკურატურის პრეროგატივაა. განჩინების არგუმენტი შემდეგი იყო: „ნარმოდგენილი მასალების თანახმად, დაცვის მხარე ადასტურებს, რომ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ვიდეო ჩანაწერია, რაც დაცულია კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში, ვიდეო საშუალება დამონტაჟებულია შსს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მერვე განყოფილების შენობაში, რაც თავისი ტექნიკური მახასიათებელით დაცულია კომპიუტერულ სისტემაში და სხვაგვარად ამ ინფორმაციასთან წვდომა შეუძლებელია თუ არა ბრალდების მხარის შუამდგომლობა მისი გამოთხოვის შესახებ სასამართლოს ნებართვით. საპროცესო კანონით დაცვის მხარეს არ აქვს უფლება ფარულ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შუამდგომლობის ავტორი იყოს. ანუ გაურკვეველია თუ რა სახის ინფორმაციის ან ინფორმაციის შემცველი ობიექტის ამოღებას ითხოვს შუამდგომლობის ავტორი საგამოძიებო სამსახურიდან.“

იმავე მოსამართლის მიერ განხილულ კიდევ ერთ საქმეში⁴⁹ არ დაკმაყოფილდა საცურაო აუზის შენობის გარეთ დამონტაჟებული ვიდეო ჩანაწერის ამოღების შუამდგომლობა. კვლავაც, 2015 წლის 5 აგვისტოს განჩინების დასაბუთების ანალოგიურად, მოსამართლემ მიიჩნია, რომ დაცვის მხარე ითხოვდა სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში არსებული ინფორმაციის გამოთხოვას.

ვიდეო-ჩანაწერის ამოღებაზე შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა ასევე კვლევის პროცესში შესწავლილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 ნოემბრის და 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინებით. ორივე შემთხვევაში სასამართლოს მიერ ჩაითვალა, რომ ადგილი ჰქონდა სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებული მოქმედების ჩატარების მიმართვას, რისი უფლებამოსილებაც გააჩნდა მხოლოდ ბრალდების მხარეს.

ერთ-ერთ საქმეში,⁵⁰ დაცვის მხარე ითხოვდა აფთიაქის სათვალთვალ კამერის ჩანაწერის დათვალთვრებას, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, სათვალთვალ კამერების ამოღებას. მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა. განჩინებაში არ არის დეტალური მსჯელობა დაცვის მხარის შუამდგომლობის დასაბუთებულობის შესახებ. სასამართლომ დაასკვნა, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილება ხელს შეუწყობს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გარკვევას. ამასთან, სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის მოთხოვნა საჭიროების შემთხვევაში მტკიცებულების ამოღების ჩატარების შესახებ და აღნიშნა, რომ ამოღება განსხვავებული საგამოძიებო მოქმედებაა, რის შესახებაც მოთხოვნა ცალკე უნდა იქნას დაყენებული.

გორის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 14 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების

⁴⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 ოქტომბრის განჩინება.

⁴⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 ოქტომბრის განჩინება.

⁵⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 7 ოქტომბრის განჩინება.

სამკერდე ვიდეოთვალისა და საპატრულო პოლიციის ავტომანქანის ვიდეორეგისტრატორის მიერ დაფიქსირებული ავტომანქანის გაჩერებისა და მისი დაკავების სრული ვიდეოჩანაწერების ამოღების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო მსჯელობს, ხომ არ განეკუთვნება მოთხოვნილი ინფორმაცია სსსკ-ის 136-ე მუხლში მითითებულ ინფორმაციას. სასამართლო მიიჩნია, რომ „მოთხოვნილი სახით (ინფორმაცია) არ ინახება კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში. შესაბამისად, აღნიშნულ ინფორმაციაზე არ ვრცელდება ამ კოდექსის 143 2 და 143 10 მუხლების დებულებები.“

თუმცა, მანამდე, გორის რაიონულ სასამართლოს 2015 წლის 12 თებერვლის განჩინებით არ იქნა დაკმაყოფილებული ერთ-ერთი სანარმოს სათვალთვალ კამერის ვიდეოჩანაწერის ამოღების შუამდგომლობა, სწორედ სსსკ-ის 136-ე მუხლის საფუძველზე. განჩინებაში ციტირებულია სსსკ-ის 136-ე მუხლი და გაკეთებულია დასკვნა, რომ ასეთი ინფორმაციის გამოთხოვა მხოლოდ პროკურატურის პრეროგატივაა.

გორის რაიონული სასამართლოს მითითებულ განჩინებებში არ არის დამატებითი ფაქტი ან არგუმენტაცია, რაც შესაძლებელს გახდიდა მსჯელობას, ხომ არ არსებობდა რაიმე არსებითი განმასხვავებელი გარემოება ამ ორ საქმეში. მოსამართლის მიერ, 2015 წლის 14 აგვისტოს განჩინებაში მითითებულია, რომ მოთხოვნილი სახით ინფორმაცია არ ინახებოდა კომპიუტერულ სისტემაში და როგორც ჩანს, ეს გახდა გადამწყვეტი ფაქტორი შუამდგომლობის დაკმაყოფილებისთვის.

თელავის რაიონული სასამართლოს მიერ მოწოდებულ ორ განჩინებაში⁵¹ დაკმაყოფილდა სათვალთვალ კამერების ჩანაწერების დათვალთვლების შესახებ შუამდგომლობები. ორივე შემთხვევაში სათვალთვალ კამერა მდებარეობდა ჩხრეკის ადგილთან ახლოს და ამიტომ სასამართლო მიიჩნია, რომ დათვალთვლება ხელს შეუწყობდა სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენას.

ამდენად, ნათელია, რომ სასამართლოებში განსხვავებული მიდგომაა ვიდეო-თვალთვალ დაფიქსირებული ინფორმაციის დაცვის მხარის მიერ მოპოვების შესაძლებლობის საკითხზე. ეს განსხვავება იკვეთება არა მხოლოდ სხვადასხვა სასამართლოების, არამედ ერთი სასამართლოს სხვადასხვა მოსამართლეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებშიც. მოსამართლეთა ნაწილი, შუამდგომლობის სათანადოდ დასაბუთების შემთხვევაში, აღიარებს დაცვის მხარის უფლებას მიიღოს ვიდეო თვალში დაფიქსირებული ინფორმაცია სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემით, ხოლო, მოსამართლეთა სხვა ნაწილი დაცვის მხარის ასეთ შესაძლებლობას არ აღიარებს, რამდენადაც მას განიხილავს სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებად (კომპიუტერულ სისტემაში არსებული ინფორმაციის გამოთხოვა), რისი ინიცირების უფლებაც აქვს მხოლოდ პროკურორს.

2.4.3.2. მობილური კავშირგაბმულობის ქსელიდან ინფორმაციის მოპოვება

დაცვის მხარე ძალიან ხშირად მიმართავს სასამართლოს მობილური კავშირგაბმულობის ქსელიდან განხორციელებული შემავალი და გამავალი ზარებისა და მოკლე ტექსტური შეტყობინებების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში დახმარების შუამდგომლობით. კვლევის პროცესში შესწავლილი არცერთი განჩინებით ასეთი შუამდგომლობა არ არის დაკმაყოფილებული. სასამართლოები თვლიან, რომ ასეთი ინფორმაციის მოპოვების შესახებ ნებისმიერი

⁵¹ თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 დეკემბრის და 2015 წლის 14 ოქტომბრის განჩინებები.

სახის შუამდგომლობა⁵² წარმოადგენს სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვას, რომლის ჩატარების შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ პროკურორს.

2.4.3.3. ინფორმაციის მოპოვება საშვითა ბიუროებიდან

სასამართლო პრაქტიკა წინააღმდეგობრივია ასევე დაცვის მხარის მიერ სხვადასხვა საგამოძიებო თუ სახელმწიფო ორგანოების საშვითა დაშვების ბიუროებიდან, შენობაში შემსვლელთა ვინაობის და შესვლის და გამოსვლის დროის შესახებ ინფორმაციის ამოღების საკითხზე. მოსამართლეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ ეს ინფორმაცია ინახება კომპიუტერში, მაშინ იგი წარმოადგენს სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებას, რომელიც მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობით შეიძლება ჩატარდეს. ხოლო მეორე ნაწილი, საშვითა ბიუროში კომპიუტერულ სისტემაში შენობაში ვიზიტორთა შესვლისა და გასვლის დროის შესახებ არსებულ ინფორმაციას, არ თვლის სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციად.

2.4.3.4. სსსკ-ის 136-ე მუხლის ფართოდ გამოყენების საწინააღმდეგო დასაბუთება სასამართლოში

მოსამართლეთა ნაწილი, როგორც ჩანს, არ ეთანხმება პოზიციას სსსკ-ის 136-ე მუხლის ფართოდ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით.

ერთ-ერთ საქმეში⁵³, მოსამართლემ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა მობილური ტელეფონის შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დოკუმენტური ან/და ელექტრონული სახით დათვალიერების შესახებ. სასამართლოს საერთოდ არ მოუხმია სსსკ-ის 136-ე მუხლი განჩინებაში. დომინირებული ტენდენციის შესაბამისად, შესაძლებელია, მოსამართლეთა დიდ ნაწილს მიეჩნია, რომ მოთხოვნა ხდებოდა ელექტრონული ფორმით კომპიუტერულ სისტემაში არსებული დოკუმენტაციის და სწორედ 136-ე მუხლის საფუძველზე უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

სასამართლოებში დომინირებული ტენდენციის საპირისპირო დასაბუთების თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 05 მაისის განჩინების დასაბუთება. აღნიშნულ საქმეზე ადვოკატი სააპელაციო სასამართლოში ასაჩივრებდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინებას, რომლითაც უარი ეთქვა საქართველოს მთავარ პროკურატურაში მოწმედ დაკითხული პირების შესვლა-გამოსვლის ზუსტი დროისა და ნებართვის გამცემი პირების შესახებ ინფორმაციის დათვალიერებაზე და უარის ძირითად არგუმენტად სწორედ მოყვანილი იყო სსსკ-ის 136-ე მუხლი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ უსაფუძვლოდ მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლო პოზიცია და დააკმაყოფილა დაცვის მხარის საჩივარი. განჩინებაში ვრცელი დასაბუთებაა, რატომ არ შეიძლება დაცვის მხარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია გულისხმობდეს სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში იმსჯელა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებ-

⁵² დაცვის მხარე აღნიშნულ ინფორმაციას ითხოვს სხვადასხვა საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედების სახით. ყველაზე ხშირად ადგილი აქვს დათვალიერების და ამოღების ჩასატარებლად ნებართვის თხოვნას.

⁵³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 08 აპრილის განჩინება

ითობის მნიშვნელობაზე. მისი მჯელობით „კონსტიტუციის 42-ე მუხლში დეკლარირებულია, რომ „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.“ აღნიშნული დებულება გულისხმობს არა მარტო პირდაპირი მნიშვნელობით მოწმეთა დაკითხვის უფლების ქონას, არამედ ზოგადად, მტკიცებულებათა მოპოვებაში მხარეთა თანაბარ პირობებში ჩაყენებას.⁵⁴

სასამართლო ანალიზებს სსსკ-ის 136-ე მუხლის მიზანს და ადგენს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია არ ხვდება დასახელებული მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაში: „თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია აქვე განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების - ინფორმაციის შემცველი ობიექტის დათვალიერების ჩატარება უნდა განვასხვავოთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვისგან. ამ ორი განსხვავებული საგამოძიებო მოქმედებისთვის, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების მიხედვით, დაწესებული განსხვავებული რეგულაციები.“

მოსამართლე ანალიზებს იმ სპეციფიკას, რაც ახლავს სსსკ-ის 136-ე მუხლით დადგენილ საგამოძიებო მოქმედებას და განსხვავებს მას დაცვის მხარის მიერ მოთხოვნილი დათვალიერებისაგან.

მოსამართლის აზრით, სსსკ-ის 136-138-ე მუხლები (რაც განსაზღვრავს კომპიუტერული სისტემიდან ან საშუალებიდან ინფორმაციის გამოთხოვას) ეხება ისეთ დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის საპროცესო ნესებს (პროცედურებს), რომელთა ჩადენაც შესაძლებელია კომპიუტერული სისტემის გამოყენებით და არა ნებისმიერ ინფორმაციას, რაც შეიძლება კომპიუტერულ სისტემაში/საშუალებაში ინახებოდეს.

ზემოაღნიშნული მსჯელობის დასაბუთების საილუსტრაციოდ მოსამართლე ციტირებს 136-138-ე მუხლებს „თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით...“ იგი ასევე ავითარებს შემდეგ მსჯელობას: „სამივე დასახელებულ მუხლში (ხოლო 136-ე მუხლის მე-2 ნაწილში) აღწერილი პროცედურის გადმოცემა ხდება ამ სიტყვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს მუხლები ეხება მხოლოდ მათში მითითებული კომპიუტერული სისტემის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას, სადაც გამოყენებულია კომპიუტერული სისტემა და არა ნებისმიერი გამოძიების ფარგლებში დაცვის მხარის უფლებას, დაათვალიეროს თუნდაც კომპიუტერულ სისტემაში არსებული ინფორმაცია დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით. თუ არ გავმიჯნავთ ერთმანეთისგან კომპიუტერული სისტემის გამოყენებით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების მიზნებისთვის ჩასატარებელ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს იმ მოქმედებებისაგან, რომელთა ჩატარება მხარეებს შეუზღუდავად და თანასწორუფლებიან პირობებში შეუძლიათ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი პრინციპი - მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი აღმოჩნდება ფარსი და განუხორციელებელი მოცემულობა, რომელიც კონსტიტუციის და სისხლის სამართლის პროცესის არაერთ მუხლშია დეკლარირებული და რომელთა შესრულებას იმპერატიული დატვირთვა აქვს.“⁵⁵

⁵⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 5 მაისის განჩინება, გვ. 3

⁵⁵ იქვე, გვ. 8.

შემდეგ, მოსამართლეს კიდევ ერთი არგუმენტი მოჰყავს:

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით (იგულისხმება საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხალხმეუხეობას) გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს გარეშე ჩასატარებლად. ე.ი ამ ნორმის მიხედვით, თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება ლეგიტიმაციის თვალსაზრისით უთანაბრდება მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებულ იგივე სახის საგამოძიებო მოქმედებას. ვიცით ისიც, რომ სსსკ-ის მე-3 მუხლის განმარტებით, სხვა დანარჩენთან ერთად, მობილური ტელეფონიც კომპიუტერულ სისტემას მიეკუთვნება. შეიძლება დაისვას კითხვა - აქვს თუ არა დაცვის მხარეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას მობილური ტელეფონის დათვალიერების უფლება მისი მესაკუთრის ან მფლობელის თანხმობით? უდავოა, რომ აქვს. აქედან გამომდინარე, რატომ არ უნდა ჰქონდეს მისი დათვალიერების უფლება სასამართლოს განჩინების საფუძველზე? ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხომ გაცილებით მეტია, ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების, ლეგიტიმაციის ხარისხი? პასუხი ამ კითხვებზე მარტივი და ნათელია. დაცვის მხარეს ისეთივე სრულფასოვანი უფლება აქვს დაცვის მტკიცებულებების მოპოვების მიზნით სასამართლოს წინაშე აღძრას შუამდგომლობა კომპიუტერში არსებული ინფორმაციის დათვალიერების თაობაზე, როგორც ბრალდების მხარეს. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, თუ მისი მიზანია დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა მოპოვება, არ განეკუთვნება ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა კატეგორიას, მასზე არ ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები და მათ შორის, ამ მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული კოდექსის 143²- 143¹⁰-ე მუხლების დებულებები.“⁵⁶

სააპელაციო სასამართლოს ეს განმარტება არ გამხდარა სასამართლოებში უპირატესად დამკვიდრებული ტენდენციის შეცვლის საფუძველი. აღნიშნული განჩინების შემდეგაც, სასამართლოები ძირითადად მხოლოდ იმას აფასებენ, ხომ არ ინახება ესა თუ ის ინფორმაცია კომპიუტერში და, დადებით შემთხვევებში არ აკმაყოფილებენ დაცვის მხარის შუამდგომლობებს ინფორმაციის მოპოვებისთვის ნებართვის გაცემის შესახებ.

ამდენად, სასამართლო განჩინებების შესწავლის შედეგად გამოვლენილი ძირითადი ტენდენცია მიუთითებს, რომ სასამართლოები ერთმნიშვნელოვნად სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში განიხილავენ დაცვის მხარის სხვადასხვა ტიპის შუამდგომლობებში ასახულ მოთხოვნას მობილური კავშირგაბმულობის ქსელიდან ინფორმაციის მოპოვების შესახებ. ასევე, ნაწილი მოსამართლეებისა თვლის, რომ ვიდეო-თვალისა და საშვთა ბიუროებში დაცული ინფორმაციის მოთხოვნაც სსსკ-ის 136-ე მუხლით დადგენილი მოქმედების ფარგლებში უნდა მოხდეს, ე.ი. დაცვის მხარისთვის შუამდგომლობის დაყენების უფლებას ამ ტიპის ინფორმაციის მოპოვებისთვის არ აღიარებს. მოსამართლეთა მეორე ნაწილი შესაძლებლად მიიჩნევს დაცვის მხარის მიერ ვიდეო-თვალის ინფორმაციის და საშვთა ბიუროებში დაცული ინფორმაციის მოპოვებას, შუამდგომლობების სათანადოდ დასა-

⁵⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 5 მაისის განჩინება, გვ. 9.

ბუთების შემთხვევაში. ამასთან, სასამართლო სისტემაში ადგილი ჰქონდა სსსკ-ის 136-138-ე მუხლების ნორმების და მათი გამოყენების ფარგლების ძირითადი ტენდენციისგან განსხვავებულ ინტერპრეტაციას, თუმცა, ამ მცდელობას, როგორც ჩანს, რეალური გავლენა სასამართლოების პრაქტიკაზე არ მოუხდენია.

2.4.3.5. სასამართლოებში დამკვიდრებული ტენდენციის შეფასება კომპიუტერულ სისტემაში არსებული ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ

სსსკ-ის 136-ე, 137-ე და 138-ე მუხლებით დადგენილი საგამოძიებო მოქმედებები გაერთიანებულნი არიან სსსკ-ის კომპიუტერულ დანაშაულთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებების თავში. სსსკ-ის 136-ე მუხლი ითვალისწინებს დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვას, 137-ე მუხლი ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვებას, ხოლო 138-ე მუხლი შინაარსობრივი მონაცემების მოპოვებას. სამივე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის მიღების შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს. სსსკ-ის 137-ე და 138-ე მუხლების პირველი ნაწილის პირველივე წინადადებაში მითითებულია, რომ თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი კომპიუტერული სისტემის მეშვეობით ახორციელებს დანაშაულს, პროკურორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს. რაც შეეხება 136-ე მუხლს, მის პირველ ნაწილში სპეციალური მითითება კომპიუტერული სისტემის მეშვეობით განხორციელებული დანაშაულის დასაბუთებულ ვარაუდზე არ არის - „თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.“ თუმცა, 136-ე მუხლის მე-2 ნაწილში კვლავაც არის მითითება პროკურორის უფლებაზე, მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია მოითხოვოს თუ არის დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით.

როგორც ჩანს, სასამართლო პრაქტიკა მკვიდრდება სსსკ-ის 136-ე მუხლის ფართო გამოყენების სასარგებლოდ და ნებისმიერი ინფორმაცია, რაც შეიძლება ინახებოდეს კომპიუტერულ სისტემაში მიუწვდომელი იქნება დაცვის მხარისთვის. ეს ვითარება მნიშვნელოვნად არათანაბარ სიტუაციაში აყენებს დაცვის მხარეს ბრალდების მხარესთან შედარებით. მხარეთათვის გონივრულად თანაბარი შესაძლებლობების მინიჭება მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ეს პრინციპი წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ ქვაკუთხედს და საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო კონვენციებით გარანტირებულ ბრალდებულის უფლებას.

ამიტომ, სამართლიანი სასამართლოს პრინციპებს - მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას ეფუძნება ის მიდგომა, რომელიც სსსკ-ის 136-ე მუხლის გავრცელების არეს შეზღუდავს მხოლოდ კომპიუტერული სისტემის მეშვეობით ჩადენილი დანაშაულების დროს ინფორმაციის გამოთხოვით და არა ზოგადად, კომპიუტერულ სისტემაში არსებული ნებისმიერი ინფორმაციის გამოთხოვით. თუმცა, დღევანდელი სასამართლო პრაქტიკის გათვალ-

ისწინებით⁵⁷, აუცილებელი იქნება სსსკ-ის 136-ე პირველ ნაწილში ისეთი ცვლილების შეტანა, რაც ერთმნიშვნელოვნად ხაზს გაუსვამს, რომ დასახელებულ მუხლში საუბარია გამოთხოვაზე კომპიუტერული სისტემის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულის გამოძიების პროცესში. სსსკ-ის 136-ე მუხლის ფარგლების ასეთი დავინროვება მხოლოდ კომპიუტერული სისტემის მეშვეობით განხორციელებული დანაშაულით, იმავდროულად დაცვის მხარეს მიანიჭებს შესაძლებლობას საგამოძიებო მოქმედებების მეშვეობით მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია/მტკიცებულება (გარდა კომპიუტერული სისტემის მეშვეობით ჩადენილი დანაშაულებისა) რაც ელექტრონული ფაილის სახით ინახება კომპიუტერში.

შესაძლებელია ეს პრობლემური სიტუაცია სხვა სახის საკანონმდებლო ცვლილების შედეგად გადაილახოს. მაგალითად, შეიცვალოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 27-ე და 28-ე ნაწილით განსაზღვრული კომპიუტერული სისტემის და კომპიუტერული მონაცემის ცნება სსსკ-ის 136-ე მუხლის ვიწროდ გამოყენების მიზნებისათვის.

2.5. სასამართლო პრაქტიკის კვლევა ადვოკატების გამოკითხვის საფუძველზე

კვლევის პროცესში შემუშავებულ იქნა სპეციალური კითხვარი ადვოკატებისთვის და მოხდა ადვოკატების გამოკითხვა. კითხვარში გათვალისწინებული შეკითხვები ეხებოდა შემდეგ თემებს: მიუმართავთ თუ არა ადვოკატებს სასამართლოსათვის შუამდგომლობით საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ, მათ შორის პირის ტექნიკური საშუალებით დისტანციური დაკითხვის (სკაიპით), ჩხრეკა-ამოღების, დათვალიერების ჩატარების, გვამის ექსპუმაციის, იმ დოკუმენტის ან ინფორმაციის მოთხოვნით, რომელიც ინახება კომპიუტერულ სისტემაში, მტკიცებულების გამოთხოვაში დახმარების, საექსპერტო კვლევის ნიმუშის აღების შუამდგომლობით; დაკმაყოფილდა თუ არა წარდგენილი შუამდგომლობა ან უარის შემთხვევაში რა იყო დაუკმაყოფილებლობის მიზეზი; ხომ არ ჰქონია ადვოკატს მცდელობა რაიმე სხვა კანონიერი ხერხით დაეძლია სასამართლოს უარი და რა შედეგი მიიღო. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ადვოკატების შეფასებამტკიცებულებათა მოპოვების პროცესისთვის დამახასიათებელი ხარვეზების შესახებ.

სულ გამოიკითხა 136 სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი. გამოკითხვა განხორციელდა სპეციალური კითხვარების მეშვეობით ან სატელეფონო გასაუბრების გზით.

კითხვარების მეშვეობით გამოიკითხა 41 ადვოკატი. აქედან 18 ადვოკატი განწვრიანებულია იურიდიული ფირმების ასოციაციაში, 5 ადვოკატი წარმოადგენდა იურიდიული დახმარების სამსახურს. სატელეფონო გზით გამოიკითხა 95 რესპოდენტი, მათგან 9 ადვოკატი წარმოადგენდა იურიდიული ფირმების ასოციაციას, 13 ადვოკატი იურიდიული დახმარების სამსახურს. სატელეფონო გზით გამოკითხულთაგან 33 ადვოკატს მიუმართავს სასამართლოსთვის, ხოლო 62-ს არ მიუმართავს. ქვემოთ ასახულია ადვოკატების მიერ მონოდებული ინფორმაცია.

2.5.1. პირის ტექნიკური საშუალებით (სკაიპით) დისტანციური დაკითხვა

სასამართლოს მიმართა 15 ადვოკატმა, საყურადღებოა, რომ არ დაკმაყოფილდა მხოლოდ ერთი შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა ბრალდების მხარის მონმის დისტანციურად დაკ-

⁵⁷ სასამართლო პრაქტიკის საილუსტრაციოდ განჩინებები განხილულია ცალკეული ტიპის საგამოძიებო მოქმედებების ანალიზისას.

ითხვას იმ პირობებში როდესაც ბრალდების მხარემ მოხსნა აღნიშნული მოწმე მტკიცებულებების სიიდან, ხოლო დაცვის მხარეს არ ჰყავდა აღნიშნული მოწმე შეყვანილი თავის მტკიცებულებების ნუსხაში.

შესაბამისად, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ამ სახის საგამოძიებო მოქმედებისათვის დახმარების შუამდგომლობით სასამართლოებს ადვოკატები გარკვეული სიხშირით მიმართავენ და სასამართლოებიც აკმაყოფილებენ შუამდგომლობებს. ადვოკატების მიერ არ დასახელებულა რაიმე საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ხარვეზი აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით.

2.5.2. ჩხრეკა-ამოღება

ჩხრეკა-ამოღების შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა 21 ადვოკატმა. აქედან დაკმაყოფილდა 7. ძირითადად მოთხოვნილი იყო კერძო ორგანიზაციებიდან სათვალთვალო კამერების ჩანაწერები და შემავალი და გამავალი სატელეფონო ზარების ამოღება, ერთ შემთხვევაში კი მოთხოვნილ იქნა დოკუმენტების ამოღება. საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა გამომძიებლის მიერ, როგორც ამას არეგულირებს სსსკ. არც ერთ შემთხვევაში არ დაკმაყოფილებულა შემავალი და გამავალი ზარების შესახებ ინფორმაციის ამოღების შუამდგომლობა. პრაქტიკა წინააღმდეგობრივია სათვალთვალო კამერების ჩანაწერების ამოღების საკითხზე. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი ყველა შემთხვევაში (როგორც სათვალთვალო კამერების ამონაწერის, ისე სატელეფონო ზარების შესახებ ინფორმაციის) არის სასამართლოს მხრიდან მითითება საქართველოს სსსკ-ს 136-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად მხოლოდ ბრალდების მხარეა უფლებამოსილი მიმართოს სასამართლოს კომპიუტერულ სისტემაში არსებული მონაცემების გამოთხოვის შუამდგომლობით. 5 ადვოკატი შეეცადა სასამართლოს უარის შემდეგ გამოეყენებინა ალტერნატიული ხერხი მტკიცებულების მოსაპოვებლად. ამ შემთხვევებში საქმე ეხებოდა სათვალთვალო კამერებიდან ვიდეო ჩანაწერის მიღებას. ადვოკატებმა სასამართლოს მიმართეს უკვე დათვალიერების მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა.

იყო შემთხვევა, როდესაც ადვოკატმა მოითხოვა მტკიცებულების ამოღება შსს ანალიტიკური დეპარტამენტიდან, ხოლო სასამართლომ უარი უთხრა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე ფორმალური მოტივით, კერძოდ, სასამართლოს განმარტებით არ იყო მითითებული კონკრეტული ადგილი.

ადვოკატებმა უარყოფითად შეაფასეს ჩხრეკა-ამოღების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლების ბრალდების მხარისათვის მინიჭება. ეს გარემოება რისკის შემცველია დაცვის მხარისთვის, რამდენადაც დაცვის შუამდგომლობით ჩატარებული ჩხრეკა - ამოღების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება შეიძლება არ იყოს ბრალდებულისთვის სასარგებლო და შესაბამისად, გამოიყენოს ბრალდების მხარემ. რამდენიმე ადვოკატმა განაცხადა, რომ სწორედ ამ მოტივით თავი შეიკავა ჩხრეკა-ამოღების შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვისაგან.

ადვოკატების მიერ პრობლემად დასახელდა ის გარემოება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შუამდგომლობაზე პასუხს აძლევს მოსამართლის თანაშემწე. ერთ-ერთმა ადვოკატმა განაცხადა, რომ სამი ასეთი ფაქტი იყო მის პრაქტიკაში, რის გამოც ვერ გაასაჩივრა უარი ზემდგომ ინსტანციაში.

ადვოკატთა გამოკითხვამ ხაზი გაუსვა სასამართლო განჩინებათა კვლევის პროცესში გამოკვეთილ ვითარებას, რომ ძირითადად, სასამართლოები კომპიუტერში შენახულ ნებისმი-

ერ ინფორმაციას თვლიან სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებულ კომპიუტერულ ინფორმაციად, რომლის გამოთხოვა მხოლოდ პროკურატურის პრეროგატივაა.

2.5.3. დათვალიერება

სასამართლოს მიმართა 19 გამოკითხულმა. აქედან დაკმაყოფილდა 11. როგორც ჩხრეკა-ამოღების, ისე დათვალიერების შემთხვევაში ადვოკატები ასახელებენ სასამართლოთა არაერთგვაროვან პრაქტიკას. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო აკმაყოფილებს სათვალთვალ კამერების დათვალიერების შესახებ შუამდგომლობას, მათ შორის იყო შემთხვევა, როდესაც პოლიციის შენობაში დამონტაჟებული ვიდეო-თვალის ჩანანერის დათვალიერება დაკმაყოფილდა. სხვა შემთხვევაში კი დათვალიერების შუამდგომლობა სასამართლოს ჩაუთვლია კომპიუტერული სისტემიდან მონაცემების გამოთხოვად, რაც არ დაკმაყოფილებულა სსსკ-ის 136-ე მუხლის საფუძველზე. თუმცა, იყო ცალკეული შემთხვევა, როდესაც დაცვის მხარემ შეცვალა მოთხოვნა, მოითხოვა ელექტრონული ჟურნალის დათვალიერება, რაც ასევე არ დაკმაყოფილდა 1 ინსტანციის სასამართლოს მიერ, თუმცა დაკმაყოფილდა სააპელაციო სასამართლოს მიერ.

იყო შემთხვევები როდესაც დაცვის მხარეს მოუთხოვია სხვა სისხლის სამართლის საქმის მასალების დათვალიერება, რაც არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ მხარე არ წარმოადგენდა იმ საქმეში მხარეს. თუმცა, შემდგომ შუამდგომლობით გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია მითითებული საქმიდან, რაც დაკმაყოფილდა და პროკურორს დაევალა მასალების მიწოდება დაცვის მხარისათვის.

რაც შეეხება შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, აქაც პრაქტიკა განსხვავებულია. კერძო პირის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, მაგ. სარდაფი, დათვალიერების მოთხოვნა სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა. სახელმწიფო დაწესებულებების და მათი ტერიტორიების დათვალიერების შესახებ მოთხოვნები სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა. უარის დასაბუთებისთვის სასამართლომ მიუთითა შუამდგომლობის დაუსაბუთებლობა, დასათვალიერებელი ნივთის თუ გარემოების მიუთითებლობა.

2.5.4. გვამის ექსპერტიზის მოთხოვნა

სასამართლოს მიმართა ორმა გამოკითხულმა. ერთმა მათგანმა მიიღო უარი იმ მოტივით რომ ექსპერტიზისათვის საჭირო იყო დაზარალებული მხარის თანხმობა. მეორემ კი მიიღო უარი იმ მოტივით, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება გამომძიებლის პრეროგატივა იყო. სხვა გამოკითხულს ასეთი შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავს. ამის მიზეზად დასახელდა კონკრეტული შემთხვევის არარსებობა.

კვლევის პროცესში გამოთხოვილი არც ერთი განჩინება არ ეხებოდა ექსპერტიზაში დახმარების მოთხოვნას, რათა სასამართლო პრაქტიკის შესახებ გვემსჯელა სასამართლოს განჩინების/განჩინებათა საფუძველზე. სსსკ-ის 132-133-ე მუხლების თანახმად, რომლებიც ადგენენ ექსპერტიზის ჩატარების საფუძვლებსა და წესებს, ექსპერტიზისთვის შესაძლებელია მიმართოს სასამართლოს როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარემ. ამიტომ, არასწორი იყო სასამართლოს მითითება, რომ, ექსპერტიზა მხოლოდ ბრალდების მხარის პრეროგატივაა.

2.5.5. შუამდგომლობა მტკიცებულების გამოთხოვაში დახმარების შესახებ

სასამართლოს მიმართა 19 გამოკითხულმა. აქედან დაკმაყოფილდა 12 შუამდგომლობა. აქაც შეინიშნება სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკა. სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნები, რომლებიც ეხებოდა მასალების გამოთხოვას სამოქალაქო საქმიდან, პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოთხოვას საჯარო რეესტრიდან, თუმცა არ დააკმაყოფილა და ჩათვალა ამოღების ტოლფასად მოთხოვნები: კაზინოდან ინფორმაციის გამოთხოვაზე, ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულებიდან დოკუმენტების გამოთხოვაზე. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად ერთ შემთხვევაში სასამართლომ მიუთითა მხარის პასუხისმგებლობაზე თვით მოეპოვებინა აღნიშნული მტკიცებულება. ძირითადათ, უმრავლეს შემთხვევებში ადვოკატებს აღარ უცდიათ დაეძლიათ უარი. ყველა მათგანი თვლიდა, რომ მსგავსი მცდელობა აზრს იყო მოკლებული. გამოკითხულებიდან მხოლოდ ერთმა პირმა უარის მიღების შემდგომ მიმართა სასამართლოს დათვალაიერების მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა.

2.5.6. საექსპერტო კვლევის ნიმუშის აღების მოთხოვნით

სასამართლოს მიმართა 3 გამოკითხულმა. აქედან ყველა შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. აღნიშნული შუამდგომლობები ეხებოდა კალიგრაფიული ექსპერტიზისთვის საჭირო ხელმოწერის ნიმუშების მიღებას. ამ შემთხვევაში სასამართლოში არ შექმნილა რაიმე დაბრკოლება ადვოკატებისათვის.

2.5.7. ადვოკატების მიერ დასახელებული პრობლემები და მტკიცებულებათა მოპოვების პროცესის შეფასება

ადვოკატთა დიდი ნაწილი თვლის, რომ უნდა შეიცვალოს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. კერძოდ, ადვოკატს უნდა მიეცეს მეტი უფლებები და საშუალებები საპროცესო მოქმედებების შესასრულებლად. მაგალითად, სასურველია, საკანონმდებლო ნორმით მოხდეს დაწესებულებების დავალდებულება მტკიცებულებების თუ დოკუმენტების დაცვის მხარისათვის გადაცემაში. განსაკუთრებით, როდესაც საკითხი ეხება საჯარო დაწესებულებაში დაცულ საჯარო ინფორმაციას. ამ შემთხვევაში პირდაპირ შეიძლება გათვალისწინებულ იქნას საჯარო დაწესებულების ვალდებულება გადასცენ მხარეებს საჯარო ინფორმაცია. ასევე, მიზანშეწონილია, ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რაც მკაფიოდ განსაზღვრავს მტკიცებულების მოპოვების მექანიზმებს. ზოგიერთ შემთხვევაში შესაცვლელია ასევე მტკიცებულებათა მოპოვების არსებული მექანიზმები, განსაკუთრებით ეს ეხება სასამართლოს ნებართვით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლებას ბრალდების მხარის მიერ. აღნიშნული რეგულირება საფრთხეს წარმოადგენს დაცვის უფლებისთვის, რამდენადაც შესაძლებელს ხდის, ბრალდების მხარემ გამოიყენოს დაცვის მხარის საზიანოდ დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულება.

ასევე პრობლემას წარმოადგენს დაკმაყოფილებული შუამდგომლობის აღსრულება. ზოგ შემთხვევებში ვიდეოკამერის დათვალაიერების შესახებ დაკმაყოფილებული შუამდგომლობა ვერ აღესრულება, ვინაიდან სახელმწიფო ორგანოებიდან ადვოკატები იღებენ პასუხს მტკიცებულების არ არსებობის ან განადგურების შესახებ.

აღსანიშნავია, ერთ-ერთ რეგიონში მოქმედი ადვოკატის განმარტება, რომ შუამდგომლობების დაკმაყოფილება არდაკმაყოფილების გადაწყვეტისას შეამჩნია, რომ მნიშვნელობა აქვს სუბიექტურ ფაქტორებს. კერძოდ, მისი პიროვნების გათვალისწინებით, შუამდგომლობები კმაყოფილდება.

კიდევ ერთმა ადვოკატმა მიუთითა, რომ შუამდგომლობის განხილვის შედეგები ხშირ შემთხვევაში იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი მოსამართლე განიხილავს საქმეს.

თითქმის ყველა გამოკითხულმა დააფიქსირა, რომ შესაცვლელია სსსკ-ს 136-ე მუხლის დეფინიცია, რაც ზღუდავს სასამართლოს კომპიუტერულ სისტემაში არსებული ინფორმაციის (ნებისმიერი ინფორმაციის, რაც შეიძლება უბრალოდ ინახებოდეს კომპიუტერში) მიღებაში აღმოუჩინოს დახმარება დაცვის მხარეს. კომპიუტერულ სისტემაში დაცულ ინფორმაციაზე მხოლოდ ბრალდების მხარეს მიუწვდება ხელი, რაც განსაკუთრებით უსამართლო რეგულირებაა, როცა თანამედროვე ეპოქაში თითქმის ნებისმიერი სახის ინფორმაცია ელექტრონული ფორმით ინახება.

რამდენიმე ადვოკატმა განაცხადა, რომ მათ ირგვლივ არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობები და შესაბამისად, არც მათ მიუმართავთ სასამართლოსთვის, რამდენადაც ვერ ხედავენ ამის აზრს. ორმა ადვოკატმა განაცხადა, რომ სასამართლოში რთულად მიმდინარეობს ეს პროცესი და ცდილობენ სასამართლოს მონაწილეობის გარეშე მოიპოვონ მტკიცებულება.

გამოკითხულმა ადვოკატებმა სურვილი გამოთქვეს ჩატარდეს ერთობლივი ტრენინგ-სემინარები მოსამართლეებთან და პროკურორებთან, რითაც მოხდება სწორი და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

2.6. დასკვნა

სასამართლო განჩინებათა კვლევამ და ადვოკატების გამოკითხვის შედეგად მიღებულმა ინფორმაციამ გამოკვეთა ის პრობლემები, რაც დამახასიათებელია დაცვის მხარის მიერ სასამართლოს მეშვეობით მტკიცებულებათა მოპოვების პროცესისთვის. აღსანიშნავია, რომ ადვოკატების გამოკითხვის შედეგები დაემთხვა სასამართლო განჩინებების კვლევის შედეგებს. მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში პრობლემას წარმოადგენს საკანონმდებლო რეგულაციები და განვითარებული სასამართლო პრაქტიკა. კერძოდ, სსსკ-ის 136-138-ე მუხლების საფუძველზე განვითარებული სასამართლო პრაქტიკა უზღუდავს ადვოკატს შესაძლებლობას მოიპოვოს ნებისმიერი სახის მტკიცებულება, რომელიც ინახება კომპიუტერულ სისტემაში. ასეთი ვითარება კი განაპირობებს ბრალდებისა და დაცვის მხარის არსებითად უთანასწორო მდგომარეობას კომპიუტერულ სისტემაში არსებული ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით. როგორც ჩანს, ამ სიტუაციის დასაძლევად აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებები, რამდენადაც სასამართლო პრაქტიკა ძირითადად ერთგვაროვანია სსსკ-ის 136-ე მუხლის ინტერპრეტაციის თაობაზე და მხოლოდ ბრალდების მხარის უფლებამოსილებად მოიაზრება სასამართლოსთვის მიმართვა კომპიუტერულ სისტემაში ნებისმიერი შინაარსის ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ.

არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა არსებობს მტკიცებულების გამოთხოვაში სასამართლოს დახმარების შესაძლებლობის თაობაზე. ამ შემთხვევაში საუბარია ისეთ მტკიცებულებების/ინფორმაციის გამოთხოვის შესაძლებლობაზე, რაც არ ინახება კომპიუტერულ სისტემაში. მოსამართლეთა ნაწილი თვლის, რომ ცალკე ასეთი უფლება არ არსებობს დაცვის

მხარისთვის, სსსკ-ის მე-9, 38-ე და 39-ე მუხლები⁵⁸ ზოგადი ხასიათის მუხლებია და სსსკ-ში გამოთხოვის სპეციალური წესების (მსგავსად საგამოძიებო მოქმედებებისა) გათვალისწინებამდე, გამოთხოვის მეშვეობით მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას არ აღიარებს. მოსამართლეთა მე-2 ნაწილს მიაჩნია, რომ შესაძლებელია ადვოკატმა მტკიცებულება მოიპოვოს სწორედ სსსკ-ის მე-9, 38-ე და 39-ე მუხლების საფუძველზე. შესაბამისად, იქმნება ვითარება, როცა გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის ბედი დამოკიდებულია იმაზე თუ რომელი მოსამართლე განიხილავს მას. აღსანიშნავია, რომ ადვოკატებმა სპეციალურად ხაზი გაუსვეს კონკრეტული მოსამართლის მნიშვნელობას მათი შუამდგომლობის გადანყვეტის პროცესში.

გამოკითხული ადვოკატების დიდმა ნაწილმა ხაზი გასუვა, რომ სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის ჩანაწერი, რომლის თანახმად ბრალდების მხარეს აქვს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება, საფრთხეს წარმოადგენს დაცვის უფლების ეფექტიანი განხორციელებისთვის. დასახელებული რეგულირება მართლაც პრობლემატურია. შესაძლებელია, პრაქტიკაში შეიქმნას ვითარება, როდესაც დაცვის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებულ მტკიცებულებას პირველადი გამოკვლევის შემდეგ გამოიყენებს ბრალდების მხარე. ბრალდების მხარის მიერ დაცვის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება ბრალდებულის საზიანოდ ხელყოფს დაცვის უფლების საფუძველს და არსს. დაცვის უფლება კი სამართლიანი სასამართლო უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო შეთანხმებების თანახმად.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვებაში დახმარების შესახებ დაყენებული ისეთი შუამდგომლობა, რაც არ არის დაცული ელექტრონულად კომპიუტერულ სისტემაში, დაკმაყოფილდება თუ შუამდგომლობა დასაბუთებულია. განჩინებათა კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა შუამდგომლობათა დასაბუთებულობის ე.წ. „მინიმალური სტანდარტების“ განზოგადება და თავმოყრა. დასაბუთების ეს მოთხოვნები დაცული უნდა იყოს ნებისმიერი სახის შუამდგომლობაში, რათა იგი არ იქნას უარყოფილი სასამართლოს მიერ დაუსაბუთებლობის და უსაფუძვლობის მოტივით. ეს არ გულისხმობს, რომ მითითებული სტანდარტების გათვალისწინების შემთხვევაში შუამდგომლობა აუცილებლად დაკმაყოფილდება, თუმცა, მათი გაუთვალისწინებლობა ცალსახად განაპირობებს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. შუამდგომლობის დასაბუთებულობის გამოკვეთილი სტანდარტები რეკომენდაციების ნაწილში არის მითითებული.

⁵⁸ სსსკ-ის ეს მუხლები ადგენს ბრალდებულის/დაცვის მხარის უფლებას მოიპოვოს/გამოითხოვოს მტკიცებულება სასამართლოს მეშვეობით

3. რეკომენდაციები

3.1. რეკომენდაცია საკანონმდებლო ორგანოს:

- ✓ სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის ჩანაწერი, რომლის თანახმად ბრალდების მხარეს აქვს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება, საფრთხეს წარმოადგენს დაცვის უფლების ეფექტიანი განხორციელებისთვის. პრობლემა ის არის, რომ შესაძლებელია პრაქტიკაში შეიქმნას ვითარება, როდესაც დაცვის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებულ მტკიცებულებას გამოკვლევის შემდეგ გამოიყენებს ბრალდების მხარე, რაც დაუშვებელია და აზიანებს დაცვის უფლების საფუძველს და არსს. ამიტომ, მიზანშეწონილი იქნება ეს ჩანაწერი შეიცვალოს და ბრალდების მხარე არ იყოს აღჭურვილი დაცვის მხარის შუამდგომლობით მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლებით.
- ✓ სსსკ-ის 136-138-ე მუხლების თანხმად, მხოლოდ პროკურატურაა უფლებამოსილი მიმართოს სასამართლოს კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის გამოთხოვის შუამდგომლობით. სასამართლო პრაქტიკაში მკვიდრდება სსსკ-ის 136-ე მუხლის ფართო ინტერპრეტაცია და დასახელებულ მუხლში მოიაზრება ნებისმიერი ინფორმაცია, რაც შეძლება ინახებოდეს კომპიუტერულ საშუალებაში. ასეთი რეგულირება და მის საფუძველზე განვითარებული სასამართლო პრაქტიკა, დაცვის მხარეს უსპობს შესაძლებლობას მოიპოვოს ნებისმიერი ისეთი მტკიცებულება, რაც კომპიუტერულ სისტემაში ინახება. შედეგად, სახეზეა მნიშვნელოვანი დისბალანსი ბრალდების მხარის სასარგებლოდ. მიზანშეწონილია, შევიდეს ცვლილება სსსკ-ის 136-ე პირველი ნაწილში და ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს, რომ 136-ე მუხლით გათვალისწინებული გამოთხოვა გამოიყენება მხოლოდ კომპიუტერული სისტემის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულის გამოძიების პროცესში .
- ✓ სსსკ-ში მხარეთა მიერ მტკიცებულების მოპოვებას გამოთხოვის მეშვეობით ეხება რამდენიმე ზოგადი მუხლი. კვლევამ გამოავლინა, რომ სსსკ-ში მხოლოდ ზოგადი ნორმების არსებობა, სპეციალური ნორმებით დადგენილი გამოთხოვის დეტალური წესების (მსგავსად საგამოძიებო მოქმედებებისა) გარეშე აფერხებს დაცვის მხარისთვის სასამართლოების მიერ მტკიცებულებათა გამოთხოვაში დახმარებას და განაპირობებს არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას. ამდენად, მიზანშეწონილი იქნება სსსკ-ში განისაზღვროს მტკიცებულების გამოთხოვის მეტად დეტალური და სპეციალური პროცესუალური წესები.

3.2. რეკომენდაცია სასამართლოს:

- ✓ სასურველი იქნება თუ მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ შუამდგომლობათა განხილვის მნიშვნელოვან საკითხებზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა დამკვიდრდება.
- ✓ არაერთგვაროვანია სასამართლო პრაქტიკა დაცვის მხარისთვის საპროცესო მოქმედების - ინფორმაციის გამოთხოვის ნებართვის მიცემის საკითხზე, რაც, ვფიქრობთ, უნდა შეიცვალოს და აღიარებულ იქნას მხარეთა შესაძლებლობა კერძო ან სახელმ-

ნიფო ორგანიზაციიდან სასამართლოს დახმარებით მიიღოს ინფორმაცია საკუთრივ გამოთხოვის გზით და არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების საშუალებით;

- ✓ დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში სასამართლოებისთვის მიმართვის საკითხებზე საჩივრების განხილვის სტატისტიკას არ აწარმოებს თბილისის სააპელაციო სასამართლო. სასურველია, რომ სააპელაციო სასამართლომ აწარმოოს ასეთი სტატისტიკა. ეს მნიშვნელოვანია კვლევითი საქმიანობის პროცესში, სააპელაციო სასამართლოდან ინფორმაციის ეფექტიანი გამოთხოვის მიზებისთვის.

3.3. რეკომენდაცია დაცვის მხარეს:

სასამართლო პრაქტიკის კვლევის შედეგად გამოვლინდა ის საკითხები, რაც, სასამართლოების აზრით, მითითებული უნდა იყოს შუამდგომლობაში. საუბარია, შუამდგომლობათა დასაბუთების ერთგვარ „მინიმალურ სტანდარტებზე“, რაც ნებისმიერი სახის შუამდგომლობაში უნდა იყოს დაკმაყოფილებული.

კერძოდ, დაცვის მხარემ შუამდგომლობაში ან შუამდგომლობასთან ერთად სასამართლოს უნდა წარუდგინოს:

- ✓ მითითება, რა გარემოების გარკვევას შეუწყობს ხელს მოთხოვნილი ინფორმაცია/მტკიცებულება;
- ✓ დასაბუთება, რომ მოსაპოვებელი ინფორმაცია/მტკიცებულება კავშირშია სისხლის სამართლის საქმის გარემოებებთან. დასაბუთება უნდა იყოს კონკრეტული და არ არის საკმარისი მხოლოდ ზოგადი მითითება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე;
- ✓ ინფორმაცია, რომ მოთხოვნილი დოკუმენტი/ინფორმაცია მართლაც იქ არის დაცული, სადაც საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაა მოთხოვნილი;
- ✓ მტკიცებულება, რომ სასამართლოში მიმართვამდე დაცვის მხარემ მიმართა იმ დანებსებულებას, სადაც სურს სასამართლოს მეშვეობით საგამოძიებო მოქმედების ჩატარება;
- ✓ ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შუამდგომლობა შეტანილია ადვოკატის მიერ;
- ✓ შუამდგომლობას თან უნდა ერთვოდეს მისი განხილვისთვის საკმარისი მტკიცებულებები/საქმის მასალები, მათ შორის წარდგენილ უნდა იქნას მასალა, რაც სასამართლოს შეუქმნის წარმოდგენას ბრალდებულის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გარემოებებზე, მათ შორის, სისხლისსამართლებრივი დევნის დანეყების შესახებ ინფორმაციაზე და ბრალდების ფორმულირებაზე;
- ✓ შუამდგომლობაში დაცვის მხარის მოთხოვნა უნდა იყოს ჩამოყალიბებული მკაფიოდ და ალტერნატიული მოთხოვნების გარეშე. განსაკუთრებით ეს ეხება ჩხრეკა-ამოღებას;
- ✓ შუამდგომლობაში არ უნდა იყოს რამდენიმე მოთხოვნა დაყენებული;
- ✓ ამოღების ჩატარების შესახებ ნებართვის გაცემაზე მსჯელობისას, სასამართლოები, შუამდგომლობის განხილვისათვის არსებითი მნიშვნელობის საკითხად მიიჩნევენ მითითებას, რომ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი ინახება გარკვეულ ადგილ-

ზე, გარკვეულ პირთან და ადვოკატის მიერ მითითებული ინფორმაციის დამატებითი ძებნა საჭირო არ არის.

- ✓ დათვალე რების კონკრეტული ობიექტის მითითებასთან ერთად აუცილებელია ამ ობიექტის მფლობელის პოზიციის წარდგენაც.
- ✓ სასამართლოები, დაცვის მხარის შუამდგომლობათა შეფასებისას, უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებენ მის შინაარსს და არა მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების შუამდგომლობაში აღნიშნულ დასახელებას. ადვოკატებმა შინაარსის შესაბამისად უნდა დაასათაურონ მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედება.
- ✓ თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეტანილ საჩივარში უნდა აღინიშნოს, რა არსებითი საკითხები და მტკიცებულებები არ გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ.

დამატებითი პრაქტიკული რეკომენდაცია ადვოკატებს:

- ✓ ხარვეზის გამო შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის მიღების შემდეგ შესაძლებელია ხელახალი მიმართვა სასამართლოსთვის ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში. ასევე, შესაძლებელია მიემართოს სასამართლოს სხვა საგამოძიებო მოქმედების მოთხოვნით.

A|L|F|G



ASSOCIATION OF LAW FIRMS OF GEORGIA